



საქართველოს დავით აღმაშენებლის
სახელობის უნივერსიტეტი

უძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე
საკუთრების უფლების განხორციელების პრობლემა
საქართველოში

გიორგი ბარამიძე

დისერტაცია

წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ავტორეფერატი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

სამართლის დოქტორი, პროფესორი

პოლიკარპე (თემურ) მონიავა

თბილისი
2026

სარჩევი

<i>შესავალი</i>	4
<i>თავი 1. საკუთრების ცნება, მისი სოციალური ბუნება და საკუთრების უფლების შინაარსი</i>	24
§1. საკუთრების ცნება და არსი;	24
§2. საკუთრების უფლების შინაარსი;	24
§3. საკუთრების სოციალური ბუნება.	24
<i>თავი 2. უძრავი ნივთი და ცალკეული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი</i>	25
§1. საკუთრება, როგორც კერძოსამართლებრივი ბრუნვის ობიექტი; .	25
§2. უძრავი ნივთი, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი;.....	25
§3. არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი.	25
<i>თავი 3. საკუთრების, როგორც საყოველთაოდ აღიარებული უფლების განხორციელების საერთაშორისო მექანიზმები და ევროსასამართლოს პრაქტიკა</i>	26
§1. საკუთრების, როგორც საყოველთაოდ აღიარებული უფლების თაობაზე საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიუღებლობის მიზეზები;.....	26
§2. საკუთრების უფლების განხორციელების მექანიზმები საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში;.....	26
§3. საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით დამკვიდრებული პრაქტიკა;.....	26
§4. სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა, როგორც საკუთრების უფლების დარღვევის კერძო შემთხვევა.	26
<i>თავი 4. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდის საქართველოში საკუთრების უფლების განხორციელების მექანიზმები და მიღებული სამართლებრივი აქტების ეფექტურობის პრობლემა</i>	27

§1. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდის საქართველოში საკუთრების უფლების განხორციელების სამართლებრივი მექანიზმები;	27
§2. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდის საქართველოში საკუთრების უფლების განხორციელების მექანიზმების ეფექტურობის პრობლემა.....	27
<i>თავი 5. დასკვნები და წინადადებები/ რეკომენდაციები</i>	<i>28</i>
§1. დასკვნები	28
§ 2. წინადადებები / რეკომენდაციები	40
<i>ბიბლიოგრაფია.....</i>	<i>46</i>

შესავალი

ა) თემის აქტუალობა და სიახლე:

საკუთრება უხსოვარი დროიდან მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საზოგადოების ცხოვრებაში, რადგან მთელი განვლილი პერიოდის განმავლობაში, ადამიანი საკუთრებას უკავშირებდა, როგორც პირადად მისი, ისე საკუთარი ოჯახის ეკონომიკურ კეთილდღეობას და ცდილობდა მის დაცვას, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ.

საკუთრება, ერთი შეხედვით, მოიცავს მესაკუთრის უფლებას იმ ქონებაზე, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი მიაკუთვნებს ყველა ნივთს და ისეთი სახის არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და, რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

თუმცა, არსებული რეალობა სხვაგვარია. მთელი რიგი ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170.1-ე მუხლი ხაზს უსვამს, რომ მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს მხოლოდ ისეთი ქონებით, რომლებიც განეკუთვნება ნივთის კატეგორიას.

ამდენად, იმის შესაძლებლობა, რომ პირი თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით და არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა და განკარგოს იგი თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170.1-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე ვრცელდება, მხოლოდ უძრავ და მოძრავ ნივთზე.

ნივთებთან მიმართებით კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 149-ე მუხლი მხოლოდ უძრავი ნივთების ჩამონათვალს იძლევა. კერძოდ, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. შესაბამისად, ივარაუდება, რომ ყველა ის ნივთი, რომელიც არ განეკუთვნება უძრავ ნივთთა კატეგორიას წარმოადგენს მოძრავ ნივთს.

რაც შეეხება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლის თანახმად, მასში იგულისხმება ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე.

უნდა ითქვას ისიც, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტებს მიაკუთვნებს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს, მათი დაცვის წესიც და ხარისხიც ნივთებისას უდავოდ ჩამორჩება. კერძოდ, აღნიშნულს ცხადყოფს თუნდაც ის გარემოება, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 158.1-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ ნივთებზე მოქმედებს მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია. რაც ნიშნავს იმის ვარაუდს, რომ გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი ვლინდება საჯარო რეესტრიდან, ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე.

შესაბამისად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თითქოსდა, ერთი შეხედვით ადვილი უნდა იყოს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების დაცვა. თუმცა, როგორც ამ ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რეალურად არაერთი ხელშემშლელი პრობლემა არსებობს საკუთრების უფლების განხორციელებისას, როგორც უძრავ ნივთებთან, ისე ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებთან დაკავშირებით. ამდენად, ზოგადად, უფლების უზრუნველყოფის მექანიზმი ეფუძნება, როგორც კონსტიტუციურ, ისე საერთაშორისო სამართლებრივი აქტების დანაწესებს, 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიღებით კი, საქართველომ დაადგინა საერთაშორისო სამართლის პრიმატი შიდასახელმწიფოებრივი აქტების მიმართ, მიუხედავად ამისა აუხსნელი რჩება საქართველოში დაწყებულმა საკანონმდებლო და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებმა დღემდე სათანადოდ რატომ ვერ უზრუნველყო საკუთრების უფლების ეფექტურად განხორციელება, განსაკუთრებით მაშინ, როცა დღის წესრიგში დგება უძრავი ქონების და ცალკეული არამატერიალური ქონებრივი სიკეთის დაცვა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომში, მისი მოცულობის გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ მხოლოდ უძრავ ნივთებსა და ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე საკუთრების უფლების განხორციელების პრობლემის გამოკვლევით შემოვფარგულიყავით.

მით უფრო, რომ საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ქვაკუთხედია უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების ეფექტურად განხორციელება. კერძოდ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ პირველყოფილი თემური საზოგადოების რღვევა განაპირობა თემის წევრთა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - მიწა ამ გაერთიანების ხელმძღვანელ (ტომის, თემის ბელადთა, მხედართმთავართა და აშ.) პირთა კონტროლქვეშ გადასვლამ. კერძოდ, მათ საკუთრებაში მყოფი მიწის დასამუშავებლად საჭირო გახდა დიდი ოდენობით უფასო მუშა-ხელი, რის გამოც ოდესღაც თავისუფალი მეთემეები თანდათან იქცნენ მონებად და მათ რიგებს, ასევე შეუერთდნენ საომარი მოქმედებების შედეგად ტყვედ აყვანილი მეომრები და დაპყრობილ ტერიტორიაზე მაცხოვრებლები ხალხები. ყოველივე ამით კი, დაირღვა სოციალური ბალანსი, რომლითაც საკუთრებაში თანაბარი წილი ჰქონდა თემის თითოეულ წევრს.

ხოლო, მას შემდეგ, რაც მონათმფლობელურმა საზოგადოებამაც ამოწურა თავისი თავი, დღის წესრიგში დადგა ახალი ფორმაციის საზოგადოების შექმნის საკითხი, ამ შემთხვევაშიც, გადამწყვეტი როლი შეასრულა უძრავ ქონებაზე საკუთრების ფაქტორმა, რადგან იგი იქცა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული ახალი ძალის -ფეოდალთა ხელში ისეთ ძლიერ ინსტრუმენტად, რომელმაც უზრუნველყო ფეოდალთა ბატონობა ყმა გლეხებზე. ხოლო, ამით საბოლოოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც, გამოეცალა საფუძველი მასზე ოცნებასაც კი, რომ უძრავ ქონებას დაბრუნებოდა სოციალური ბუნება. ანუ, თანაბრად დაეკმაყოფილებინა სხვადასხვა ფენის/ კლასის წარმომადგენელთა მოთხოვნები.

კაპიტალისტურმა საზოგადოებამ კი, რომლის საფუძველი საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში განხორციელებული ბურჟუაზიული რევოლუციები გახდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ლიდერები გამოდიოდნენ ლოზუნგით: თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის შესახებ, ვერ უზრუნველყო ამ ლოზუნგის რეალობად ქცევა. ვინაიდან, არ განხორციელებულა საკუთრების, მათ შორის უძრავი ქონების, ყველასთვის თანაბრად გადანაწილება და მეტიც, საფრანგეთი, სადაც ბურჟუაზიული რევოლუციის აკვანი დაირწა, ნაპოლეონ ბონაპარტის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, თვითონ იქცა მეზობელი სახელმწიფოების დამპყრობად, რომელიც თავისი ქვეყნის კეთილდრობას უკავშირებდა სხვა სახელმწიფოების ტერიტორიების და შესაბამისად მათი უძრავი ქონების საფრანგეთის საკეთილდღეოდ გამოყენებას.

ამ მხრივ, რეალური ხელშესახები შედეგები არ ჰქონია საბჭოთა სახელმწიფოსაც, რადგან დაპირებების მიუხედავად, რომ მიწა

გადაეცემოდა გლეხებს, ხოლო ფაბრიკა-ქარხნები მუშებს, რეალურად მიწაზე (უძრავ ქონებაზე) საკუთრების უფლება საბჭოთა მოქალაქისთვის კვლავაც აუხდენელ ოცნებად დარჩა, რადგან შეზღუდული ფართობის მქონე საცხოვრებელი, ანუ საკარმიდამო ნაკვეთიც კი, პირებს გადაეცემოდა უვადო სარგებლობაში და არა საკუთრებაში.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების შემდეგ, კერძოდ 1992 წლიდან, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით არაერთი რეფორმა ჩატარდა, რომლის ხელშესახები შედეგი ის იყო, რომ თავდაპირველად მიწის საკუთრებაში გადაცემის ნაცვლად, საქართველოს მოქალაქებს მიწის ნაკვეთები გადაეცათ მხოლოდ სარგებლობაში. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მოსარგებლეს, მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემიდან 2 წლის გასვლის შემდეგ შეეძლო ამ მიწის ნაკვეთის გაყიდვა ან/და სხვა გზით განკარგვა.

მოგვიანებით, კერძოდ 1999 წელს, მიღებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 327 „სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქეთათვის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემის შესახებ,” რომლის ერთგვარი იურიდიული საფუძველი გახდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი, რადგან ამ კოდექსის ამოქმედებიდან ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ინდივიდუალური სახლები იყო განლაგებული, ჩაითვალა ამ პირთა საკუთრებად და მათზე გავრცელდა სამოქალაქო კოდექსით უძრავი ქონებისთვის გათვალისწინებული წესები.

ანუ, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი ცხადყოფს, საქართველოს მოქალაქისთვის საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთი უნდა ყოფილიყო საკუთრების ისეთი ობიექტი, რომელზეც გავრცელდებოდა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი უძრავი ქონებისთვის გათვალისწინებული წესები.

ამას კი, თუნდაც ის გარემოება ადასტურებს, რომ სკ-ის 170.1-ე მუხლის პირველ აბზაცში კანონმდებელმა მართალია დაუშვა მესაკუთრის უფლების შეზღუდვა, როგორც ხელშეკრულებით, ისე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მაგრამ იქვე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ პროცესშიც პირი მესაკუთრედ რჩებოდა და მისი უფლებები დაცული უნდა იყოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თუმცა, კანონის ეს მოთხოვნა, რომელიც შესაბამისობაში იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმდროინდელ და თუნდაც შემდგომი პერიოდის პრეცედენტული გადაწყვეტილებებით დადგენილ პრაქტიკასთან, საქართველოს სინამდვილეში, რეალურად სრულდებოდა 1999 წლის ბოლომდე, რადგან 2000 წლის 1-ლ იანვარს ამოქმედდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, რომლის V თავში შეტანილმა ნორმებმა ადმინისტრაციულ ორგანოს მიანიჭა უფლებამოსილება - ურთიერთობები, რომლებიც წესრიგდებოდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, მოეწესრიგებინა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით.

ხოლო, 2000 წლის 1-ლ იანვარს ძალაში შესული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლს, 2009 წლის 4 დეკემბერს დაემატა მე-5 ნაწილი, რომლითაც იმპერატიულადაა დადგენილი, რომ სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

ზემოთ მოტანილი და სხვა საკანონმდებლო ცვლილებობი, თავის დროზე, ახსნილი იქნა, კერძო პირთა მიერ ადმინისტრაციულ ორგანოებთან წარმოშობილი სამართლებრივი დავების ოპერატიულად გადაწყვეტის საჭიროებით.

თუმცა, დისერტაციის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ აღნიშნულმა ცვლილებებმა არათუ ხელი შეუწყო არსებული პრობლემების სამართლიანად და სწრაფად მოგვარებას, არამედ პირიქით, რიგ შემთხვევებში, ერთმანეთს დაუპირისპირა, ერთი მხრივ, მიწის (უძრავი ქონების) ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის მესაკუთრეების, ხოლო, მეორე მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოების ინტერესი ერთ უფლებაზე. რადგან ადმინისტრაციული ორგანოები, სარგებლობ(დ)ენ რა მინიჭებული უფლებით არა მხოლოდ უარს ეუბნებიან მესაკუთრეს, მაგ. შეცვლილი საკადასტრო კოდით სახელმწიფოს ან/და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად, უკანონოდ აღრიცხული ქონების დაბრუნებაზე, არამედ შეგნებულად აჭიანურებენ გადაწყვეტილების მიღებას.

არსებული კანონმდებლობა კი, ხელს უწყობს მათ ამაში, ვინაიდან მესაკუთრე დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებს სასამართლოში სარჩელის შეტანას. ხოლო, სარჩლის შეტანის შემდეგ სასამართლო თავს

არიდებს ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც დარღვეულ უფლებას ეფუძნება დაიცავს, რადგან იმაზე მითითებით, რომ თითქმის გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, აუქმებს აქტს, სადაო საკითხის გადაწყვეტლად საქმეს კვლავ უბრუნებს აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. რათა ამ უკანასკნელმა თავიდან გამოკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, შეაფასოს ისინი და შემდგომ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ადმინისტრაციული ორგანო კი, დაინტერესების შემთხვევაში, სარგებლობს იმით, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძვლად მითითებულია მხოლოდ დაინტერესებული პირის განცხადება, ჯერ ერთი, დროულად არ იწყებს ადმინისტრაციულ წარმოებას, ხოლო დაწყების შემთხვევაში, დამატებით კვლევას არ აწარმოებს და უმრავლეს შემთხვევაში იგივე გადაწყვეტილებას იღებს, რომელიც ერთხელ უკვე სასამართლოს მიერ გაუქმებული იქნა, ანდა საერთოდ თავს არიდებს გადაწყვეტილების მიღებას.

კერძო მესაკუთრე კი, იმ შემთხვევაშიც, როცა ადმინისტრაციული ორგანო წერილობით აქტს არ გამოსცემს, ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობა მიიჩნიოს მოთხოვნაზე უარის თქმის გადაწყვეტილებად და იმაზე მითითებით, რომ სახეზეა „ვირტუალური უარი“ ერთჯერადად, ადმინისტრაციული წესით გაასაჩივროს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან თანამდებობის პირთან. მეტიც, დაელოდოს საჩივრის განხილვისათვის დადგენილი ვადის გასვლას და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია სარჩელით მიმართოს სასამართლოს.

შესაბამისად, მესაკუთრემ კიდევ ერთხელ, ანუ განმეორებით უნდა გაიაროს ყველა ის პროცედურა, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს „გავლით“ პირველი ინსტანციის სასამართლოში იწყება და საკასაციო ინსტანციით სრულდება. ეს კი ქართულ სინამდვილეში გულისხმობს 2-3, ზოგიერთ შემთხვევაში 4-5 ან/და მეტ წელსაც კი.

შედგად მივიღეთ სასამართლოზე მიმართვის გარეშე არა მესაკუთრის სასარგებლოდ საკითხის უფრო სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტა, როგორც ამაზე აპელირებდნენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და სხვა ნორმატიული აქტებში, ამ მიმართებით, სპეციალური ნორმების შეტანის ინიციატორები, არამედ პირიქით, გამწვანდა ან/და მთელ

რიგ შემთხვევებში შეუძლებელიც გახდა მესაკუთრის მიერ საკუთრების უფლების ეფექტური განხორციელება.

კვლევის პროცესში არაერთი შემთხვევა იქნა გამოვლენილი, როცა უკანონოდ, არაერთი პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება თუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, აღირიცხა სახელმწიფოს ან/და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად და ადმინისტრაციულმა ორგანომ სხვადასხვა საბაზით უარი თქვა (უარს ამბობს) მათ დაბრუნებაზე.

მეტიც, ადმინისტრაციული ორგანოები სარგებლობენ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით და შეგნებულად აჭიანურებენ დაწყებულ ადმინისტრაციულ საქმეს. ქონების მესაკუთრე კი, ან ვერ იბრუნებს წართმეულ ქონება, რადგან „მოესწრო“ ამ უძრავი ქონების გასხვისებაც და აწ უკვე კეთილსინდისიერი შემძენისაგან ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა, ხანდაზმულობის ვადის გასვლის ან სხვა კანონით გათვალისწინებული გარემოებების გამო, მათი დაბრუნება, ან/და არაერთი წელი სჭირდება მესაკუთრეს ქონების დასაბრუნებლად.

ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1997 წლის 14 სექტემბერს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მ.ჩ.-ს გადაეცა 850 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. 2007 წლის 28 დეკემბერს მ.ჩ.-მ აღნიშნული მიწის ნაკვეთი გაასხვისა გ.ს.-ზე, რომელიც ამ უკანასკნელის საკუთრებად დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

2010 წლის 26 ოქტომბერს სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ წერილობით მიმართა საჯარო რეესტრის და მოითხოვა 582 კვ.მ მიწის ნაკვეთის ბილისის თვითმმართველი ერთეულის საახელზე დარეგისტრირება, რომელიც მოიცავდა გ.ს.-ს უკვე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილს.

საჯარო რეესტრმა კი, დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა და გ.ს.-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნაწილი დაარეგისტრირა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად.

გ.ს.-მ არერთგზის მიმართა საჯარო რეესტრს. მისი განცხადებები/ადმინისტრაციული საჩივრები კი არ დაკმაყოფილდა.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატიც ჩაერთო ამ პროცესში და გ.ს.-ს საკუთრების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებით რეკომენდაციითაც მიმართა საჯარო რეესტრს საკითხის შესწავლისა და კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით, საჯარო რეესტრმა 2014 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილებით ძალაში დატოვა ადრინდელი გადაწყვეტილებები, რადგან მიიჩნია, რომ არ არსებობდა მათი გაუქმების ან/და ცვლილების შეტანის სამართლებრივი საფუძველები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2016 წლის 4 მარტის #3/3490-14 გადაწყვეტილებით გ.ს.-ს სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ - სადაო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო საჯარო რეესტრის 2014 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილება და მარეგისტრირებელს დაევალა საქმის არსებითი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი გადაწყვეტილების მიღება.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ ამ უკანასკნელმა 2017 წლის 16 მარტის განჩინებით, უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კი, მხოლოდ 2018 წლის დასაწყისში „მოიცალა“ ამ საქმისთვის. კერძოდ, 2018 წლის 1 თებერვალს შედგა ადგილის დათვალერების ოქმი, სადაც აღინიშნა, რომ გ.ს.-ს მიწის ნაკვეთიდან 195 კვ.მ. იჭრებოდა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთში და სადაო ქონება არ იყო მყარი მიჯნით შემოსაზღვრული, ამიტომ 2018 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილებით კვლავ ძალაში დარჩა ადრინდელი გადაწყვეტილებები.

საჯარო რეესტრის ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რომელმაც 2019 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით, ისევ ნაწილობრივ დააკმაყოფილა გ.ს.-ს მოთხოვნა. ანუ, ბათილად ცნო რეესტრის გადაწყვეტილება, თუმცა საქმე კვლავ დაუბრუნდა მარეგისტრირებელ ადმინისტრაციულ ორგანოს და დაავალა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შემდეგ გამოეცა ახალი აქტი.

ეს გადაწყვეტილება კი, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ გასაჩივრდა, როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო წესით. საბოლოოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 22 სექტემბრის განჩინებით ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, ამდენად შევიდა კანონიერ ძალაში. ანუ, მესაკუთრეს მესამედ მოუწია იმ პროცედურების გავლა, რაც მან დაიწყო 2010 წლიდან.

ზემოთ მოტანილი მაგალითი ერთეულ შემთხვევას არ წარმოადგენს და ანალოგიურ მდგომარეობაში არიან ცალკეული არამატერიალური ქონებრივი სიკეთის მესაკუთრეებიც. აღნიშნულს კი, კვლევის პროცესში მოდიებული არაერთი სხვა მაგალითიც ადასტურებს. კერძოდ, 2005 წელს შპს „ბ“-მა აუქციონზე შეიძინა წყლის მოპოვების და სარგებლობის

ლიცენზია. კომპანია 4 წლის განმავლობაში სარგებლობდა ამ ლიცენზიით და ამ ხნის მანძილზე წარმატებით მუშაობდა. შპს-ს მიერ გადასახადის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანმა შეადგინა რამდენიმე ასეული ათასი ლარი. თუმცა, იმის გამო, რომ ეს კომპანია მომგებიანი იყო, მოექცა საჯარო მოხელეების მხედველობის არეში. როცა ამ კომპანიის მესაკუთრეებს შანტაჟით და იძულებით ვერ დაათმობინეს ლიცენზია, 2009 წელს გაყალბებული ჩუქების ხელშეკრულებით შპს „ბ“-ს ლიცენზია საჩუქრად გადაეცა სახელმწიფოს 100%-იანი წილით დაფუძნებულ ჯერ ერთ კომპანიას, ხოლო შემდეგში კიდევ რამდენიმეს.

შპს „ბ“-მა 2013 წელს განცხადებით მიმართა პროკურატურას და მოითხოვა ამ უკანონობაზე რეაგირება. ჩატარებული გამოძიების პროცესში შპს „ბ“-ა 2018 წელს ცნობილი იქნა დაზარალებულად. ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 28 ნოემბერს გადაწყვეტილებით ბათილად ცნო შპს „ბ“-ის კუთვნილი ლიცენზიის სახელმწიფოსათვის ვითომდაც ჩუქების ხელშეკრულება.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ არაერთხელ, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ შპს „ბ“-მა დაიბრუნა წართმეულ საკუთრება, ეს ქონება (ლიცენზია) მესაკუთრისთვის დღემდე დაბრუნებული არ არის. თანაც, ეს ხდება იმ პირობებში, როცა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ წერილობით მიმართა შესაბამის სამსახურებს, რომ დაებრუნებინათ შპს „ბ“-ისათვის უკანონოდ, იძულებით წართმეული ლიცენზია. თუმცა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მასზე მითითებით, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 მაისის #1044 განკარგულება, უძრავ-მოძრავი ნივთებისაგან განსხავებით, არ აძლევდათ ლიცენზიის, როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთის მესაკუთრისათვის უკან დაბრუნების შესაძლებლობას, არ დააკმაყოფილეს პროკურატურის ეს მოთხოვნაც.

საგულისხმოა ისიც, რომ დღემდე უშედეგოდ მიმდინარეობს ამ საქმეზე დაწყებული გამოძიებაც. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა შპს „ბ“-ს დაზარალებულად ცნობის დადგენილებაში ამტკიცებს, რომ შპს-ის საქმეზე იდენტიფიცირებულია ის საჯარო მოხელეები, რომლებიც ქონების წართმევაში მონაწილეობდა.

ასევე, დღემდე მიმდინარეობს სასამართლოში შეტანილი, არაერთი ადმინისტრაციული სარჩელის განხილვა, რომლითაც შპს „ბ“-ი ითხოვს თადაპირველი მდგომარეობის აღდგენას რესტიტუციით, ანუ წართმეული ლიცენზიის დაბრუნებას.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ქართულ სინამდვილეში, უძრავ ნივთზე (მიწაზე) და ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე საკუთრების უფლება, რიგ შემთხვევებში, გადაიქცა ფიქციად, რადგან ოფიციალური დოკუმენტის (მაგ. მიღება-ჩაბარების აქტის, ლიცენზიის აუქციონზე შეძენის დამადასტურებელი საბუთის) არსებობის მიუხედავად პირი მოკლებულია საკუთრების უფლების განხორციელების შესაძლებლობას.

ანუ, რეალურად სახეზეა საკუთრების უფლების ჩამორთმევა, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ისეთი შემთხვევაც კი, როცა მესაკუთრეს ფორმალურად დატოვებული ჰქონდა თავისი საკუთრებით სარგებლობის და განკარგვის შესაძლებლობა, მაგრამ ისინი მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული, მიიჩნია საკუთრებით დაუბრკოლებლად სარგებლობის უფლების დარღვევად, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის #1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით.

ზემოთ მოტანილი და სხვა არაერთი მაგალითი ცხადყოფს იმასაც, რომ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რიგ შემთხვევაში, პირი საჯარო რეესტრში კვლავინდებურად რეგისტრირებულია მესაკუთრედ, თუმცა, ან შეუძლებელია მისი საკუთრების ადგილმდებარეობის დადგენა, ვინაიდან შეცვლილი აქვს თავდაპირველი საკადასტრო კოდი, ან სხვა სახის მანიპულაციების გზით, მაგალითად იმით, რომ ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები ზედდებაშია სხვა ნაკვეთთან, მესაკუთრეს არ ეძლევა საკუთრების უფლებით რეალურად სარგებლობის შესაძლებლობა.

სამართალდამცავი ორგანოები კი, ან უყურადღებოდ ტოვებდნენ უფლებაშელახულ მესაკუთრეთა განცხადებებს, ან/და დიდი ხნის დაგვიანებით რეაგირებდნენ მსგავს შემთხვევებზე, რადგან პირის უფლებების დაცვა, რიგ შემთხვევებში, მეორეხარისხოვნად იყო გამოცხადებული.

კერძოდ, აღნიშნულს ცხადყოფს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის #181 ბრძანებით დამტკიცებული „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი,“ რომელმაც იმ დროს იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს პროკურატურა, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, ფაქტობრივად აქცია ორგანოდ, რომელსაც უნდა მოეხდინა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესების იმდაგვარად მართვა, რომ ფინანსურად მაქსიმალურად მომგებიანი ყოფილიყო ხელისუფლებისთვის, პირის უფლების

ხელყოფის ხარჯზე. ვინაიდან, იმ მოტივით, რომ სახელმწიფოს თითქოსდა არ გააჩნდა სათანადო ფინანსური რესურსი პროკურორის პირდაპირ ვალდებულებად გამოცხადდა საზოგადოების და არა ინდივიდის (პირის) ინტერესის დაცვა.

ამგვარი კანონქვემდებარე აქტის მიღებით კი, შეილახა დაზარალებულთა, მათ შორის მესაკუთრეთა, ინტერესები. ამდენად, სახეზეა ევროკონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით დაცული საკუთრების უფლების ისეთი ხელყოფა, როცა საქართველოს მთავრობა გასცდა მიხედულების გონივრულ ფარგლებს, რადგან იუსტიციის მინისტრის, როგორც მთავრობის წარმომადგენლის ამ ბრძანებით დადგენილი კანონსაწინააღმდეგო უპირატესობა - არ დაეწყოთ გამოძიება ყველა კატეგორიის დანაშაულთა საქმეზე მათი მცირე მნიშვნელობის გამო, გამოიყენებოდა სამართალდამცავი ორგანოების მიერ წლების მანძილზე, მათ შორის საკუთრების უფლების ხელყოფის შემთხვევებშიც.

აღნიშნული კი, იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ იუსტიციის მინისტრის #181 ბრძანებით დამტკიცებული „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი“ მიზანმიმართულად შეიქმნა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ალტერნატივად, შიდა გამოყენებისათვის, რადგან მასში შეტანილი კანონსაწინააღმდეგო დებულებები, იმ შემთხვევაში თუ აისახებოდა კანონში, ამგვარ ცვლილებებს არ მოიწონებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები და მათ შორის ვენეციის კომისია.

ამით ხელი შეეწყო მანკიერი პრაქტიკის დამკვიდრებას საქართველოში, რითაც ირღვევა ადამიანის ფინდამენტალური უფლებები, მათ შორის საქართველოს კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლება.

მოკლედ, რომ ვთქვათ, იუსტიციის მინისტრის ამ კანონქვემდებარე აქტმა დაამკვიდრა სამართლის მიმართ პოლიტიკის უპირობო პრიმატი, რადგან სამართალი გახდა პოლიტიკის მიზნებს დაქვემდებარებული მართვის ინსტიტუტი და მეტიც, ქართულმა სახელმწიფომ ფაქტობრივად უარი თქვა სამართლის მიერ ხელისუფლების შეზოგადებაზე.

ამ მხრივ არსებული ვითარება, ეწინააღმდეგება ევროსასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკასა, რომლის თანახმადაც გაუმართლებელია ხელისუფლების დომინანტური როლი საკუთრებასთან მიმართებაში. რამაც განაპირობა ის, რომ თანამედროვე პირობებში, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა მესაკუთრის უფლებების დასაცავად კერძოდ, აღნიშნულს ის გარემოებაც ცხადყოფს, რომ 2018 წლის 9 ოქტომბრის მდგომარეობით, დაზარალებულად იყო ცნობილი 162 პირი, რომლებსაც

უკანონოდ წართმეული, ჯამში 44 739 417 ლარის ღირებულების, უძრავ-
მოძრავი ნივთები დაუბრუნდათ, მათ შორის 1 574 326 კვადრატული
მეტრი მიწის ფართობი და ა.შ.

თუმცა, მოქმედი კანონმდებლობა კვლავაც რიგი ხარვეზებით
ხასიათდება. [განხორციელებული ცვლილებები კი, არცთუ იშვიათად
ისევ ვერ პასუხობს სამართლიანობის მოთხოვნებს ანდა დაგვიანებულია.
ასე მაგ. საქართველოს მთავრობის 2015 წლი 25 მაისის N1044
განკარგულებით „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ
განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ,” არაერთ მესაკუთრეს
დაუბრუნდა წართმეული ქონება, მაგრამ იგივე განკარგულება
ადასტურებს, რომ ქონების მესაკუთრეთა უფლებების თანაბრად დაცვას,
საქართველოში, დღემდე არ ექცევა ყურადღება, ვინაიდან იძულებით
წართმეული ქონებიდან მხოლოდ უძრავ-მოძრავი ნივთების დაბრუნება
მოხდა, ხოლო არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების მაგ.
ლიცენზიების, მესაკუთრეები დატოვებულია მსგავსი შესაძლებლობის
გარეშე.

გამოიკვეთა ისიც, რომ არსებული ხარვეზების აღმოფხვრისათვის
კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ადგილი აქვს დაგვიანებით. ასე მაგ.
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ზემოთ
მითითებული N181 ბრძანებით დამტკიცებული „სისხლის სამართლის
პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი,“ რომელიც
პროკურორს ფაქტობრივად გზას უხსნიდა იმისკენ, რომ ადამიანის
უფლებების, მათ შორის საკუთრების უფლების, დაცვაზე უარი ეთქვა
ქვეყნის ფინანსური რესურსების სიმწირიდან გამომდინარე,
სამართალდამცავი ორგანოებისათვის თითქმის 14 წლის განმავლობაში
სახელმძღვანელო დოკუმენტად რჩებოდა და მხოლოდ 2026 წლის 28
თებერვალს გამოცხადდა ძალადაკარგულად, საქართველოს იუსტიციის
მინისტრის N 1186 ბრძანებით.

ეს მაშინ, როცა იუსტიციის მინისტრის N 181 ბრძანებით
დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკა იმის შესახებ, რომ ქვეყნის
ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე საზოგადოების ინტერესი
პრიორიტეტულად უნდა ყოფილიყო დაცული, პირის ინტერესთან
შედარებით, წინააღმდეგობაში მოდიოდა არაერთ კანონთან, მათ შორის
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12.4
მუხლის დანაწესთან, რომლის თანახმადაც პირის კანონიერ ინტერესს
პრიორიტეტი აქვს საჯარო ინტერესთან შედარებით.

ყოველივე ზემოთქმულის გამოა, რომ გამოძიება საქმეებზე, რომლებიც ქონებაზე საკუთრების უფლების ხელყოფას ეხება და მესაკუთრე ცნობილიც კია დაზარალებულად, დღემდე ჭიანჭურდება საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. რითაც ზარალდებიან, ძირითადად, უძრავი ქონებისა და არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების, განსაკუთრებით კი ლიცენზიების ან/და ნებართვების მესაკუთრეები, რომლებიც მოკლებულნი არიან საკუთრების უფლების ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას, რადგან დღემდე არ მომხდარა მათი სამართლიანი დაკმაყოფილება.

შესაბამისად, ქართულ სინამდვილეში, მოძრავი ნივთების მესაკუთრესთან შედარებით უძრავი ქონებისა და ცალკეული არამატერიალური ქონებრივი სიკეთის მესაკუთრეები, ვინაიდან ნაკლებად არიან დაცულნი, აღნიშნული გახდა წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის შექმნის მოტივატორი.

მით უფრო, რომ ამ მიმართებით შემდგომ დახვეწას მოითხოვს არაერთი საკანონმდებლო აქტი, მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მთელი რიგი ნორმები, რასაც თუნდაც ის გარემოებაც ადასტურებს, რომ თუ ორი მოძრავი ნივთი ერთიანი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებად იქცევა, ანდა მოძრავი ნივთები ერთმანეთს შეერწყმება, ამ ახალი ნივთის თანამესაკუთრეები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 194.1-ე მუხლის თანახმად, ხდებიან თავდაპირველი მესაკუთრეები ახალ ნივთში თავიანთი წილის პროპორციულად.

უძრავი ქონების მესაკუთრეები კი, თავიდანვე მოკლებული იყვნენ და არიან ამ შესაძლებლობას, რადგან ორი უძრავი ქონება თუ ისინი ერთმანეთთან ისე არიან დაკავშირებულები, რომ ისინი ახალი ნივთის შემადგენელ ნაწილად იქცნენ, ანდა ერთმანეთს შეერწყნენ, ახლად წარმოქმნილ ნივთზე საკუთრების მომწესრიგებელ ნორმას დღემდე არ იცნობს ქართული სამოქალაქო კოდექსი.

ასე მაგალითად: ქალაქ თბილისში, ერთ-ერთი ტბის, რომლის ფართობიც დაახლოებით 28 ჰექტარია, ფსკერის მეპატრონედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია კერძო პირები. ხოლო, მასზე არსებულ მეორე უძრავ ქონებას - წყალს, რომელიც წიაღისეულთა კატეგორიას განეკუთვნება ჰყავს სხვა მესაკუთრე სახელმწიფოს სახით. შესაბამისად, იმ უძრავი ქონების, ანუ მიწის მესაკუთრეები, რომელზეც ეს ტბა მდებარეობს, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას არათუ თავისუფლად განკარგონ ქონება, არამედ რაიმე სარგებელი მიიღონ თავისი უძრავი ქონებიდან. შესაბამისად, ფაქტობრივად სახეზეა მიწის მესაკუთრეთათვის

საკუთრებით დაუბრკოლებლად სარგებლობის იმ უფლების დარღვევა, რაც დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით.

ანალოგიურად, კერძო პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში თუ აღმოჩნდა სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეული, მაგ. ნავთობი, მინერალური წყალი, მინერალური სასუქი და სხვა, ისინი უპირობოდ, ანუ ყოველგვარი სამართლიანი საზღაურის ან/და სარგებლის მიღების გარეშე სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს.

შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, თუმცა სათანადოდ მაინც არ არის დაცული საკუთარ ეზოში განძის მპოვნელის უფლებები, რადგან თუ აღმოჩნილია განძი, ანუ საგანი, რომელიც ისე დიდხანს იყო დაფლული, რომ შეუძლებელია მისი მესაკუთრის დადგენა, მაშინ სამოქალაქო კოდექსის 192-ე მუხლის თანახმად, საკუთრება სანახევროდ გადადის აღმომჩენზე და იმ მესაკუთრეზე, რომლის ნივთშიც იქნა განძი ნაპოვნი. ეს კი, არა მხოლოდ მესაკუთრის უფლების ხელყოფაა, არამედ წინააღმდეგობაში მოდის ქართულ ტრადიციებთან, რადგან როგორც ვახტანგ VI სამართლის წიგნის 165-ე მუხლის შინაარსი ცხადყოფს საკუთრების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველი იყო საქართველოში განძის პოვნა. თანაც ნაყიდ მამულში ან აგარაკში განძის პოვნის შემთხვევაში მასზე უფლებას ვერავინ შეეცვილებოდა მესაკუთრეს, თუკი მამულის და აგარაკის შესაძენად მას თანხა უკვე გადახდილი ჰქონდა.

ანალოგიურად, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, კერძოდ ის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170.1-ე მუხლის თანახმად მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს მხოლოდ იმ ქონებით, რომელიც ნივთის კატეგორიას განეკუთვნება. ასევე, ამავე კოდექსის 498.1-ე მუხლის დეფინიციის მიხედვით ნივთის ნასყიდობის მომწესრიგებელი წესები შესაბამისად გამოიყენება უფლების ან სხვა ნასყიდობის მიმართაც, ანუ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა მაგალითად არამატერიალური ქონებრივი სიკეთის სასყიდლიან შეძენას აქვს ადგილი, ამ სახის უფლების დაცვის კუთხით არაერთი სერიოზული პრობლემის წარმოშობის მიზეზი გახდა. თუმცა, ცალკეული გამონაკლისის გარდა, არ გვხვდება მეცნიერული ნაშრომი კერძო სამართალში, რომელშიც გაანალიზირებული იქნება, რიგ სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, კონკრეტულად რომელ საკანონმდებლო აქტში/აქტებში არსებული ხარვეზი/ ხარვეზები განაპირობებს უძრავ ქონებასა და ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე საკუთრების უფლების განხორციელების პრობლემას.

ამდენად, გადაწყვეტით შეგვექმნა სპეციალური მონოგრაფია ამ მიმართებით. მით უფრო, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი მთავარი შემომქმედი ბ-ნი ლადო ჭანტურიაც მიუთითებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სირთულეებსა და ზოგიერთი ნორმის ბუნდოვანებაზე.

შესაბამისად, წინამდებარე კვლევა, მის წინაშე მდგარი ამოცანებიდან გამომდინარე, აქტუალურია და მთელი რიგი მეცნიერული სიახლეებითაც ხასიათდება, რასაც თუნდაც ის გარემოება ცხადყოფს, რომ იდენტიფიცირებულია ამ მიმართებით არსებული პრობლემის გამომწვევი არაერთი მიზეზი მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემების ანალიზისა და საქართველოში არსებულ რეალობასთან შედარების გზით.

მეტიც, გამოიკვეთა, რომ მიზანმიმართული და სისტემური საქმიანობის შედეგია ის, რომ, ხშირ შემთხვევაში, კანონმდებლობა არ შეიცავს საკმარის გარანტიებს, სამართლებრივი რეაგირების ეფექტიან მექანიზმებს, რომლებიც რეალურად და ქმედითად უზრუნველყოფს საკუთრების უფლების განხორციელებას და მის ეფექტურად დაცვას.

ყოველივე ამან კი, კანონმდებლისათვის არაერთი სიახლის შემცველი წინადადების და შეთავაზების შესაძლებლობა მოგვცა. ამდენად, მონოგრაფიულ დონეზე უძრავი ქონების და ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე უფლების რეალიზაციის ხელშემშლელი გარემოებების თაობაზე, ვინაიდან სპეციალური კვლევა იშვიათობაა, საკვლევი თემა იმ მხრივაც არის, როგორც აქტუალური ისე სიახლეების შემცველი, რომ მასში წარმოჩენილია არა მხოლოდ არსებული, მათ შორის საკანონმდებლო პრობლემები ან/და ხარვეზები, არამედ დასაბუთებულია შესაბამისი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და შეთავაზებულია კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები, კერძოდ ის, რომ უძრავ ნივთებსა და ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე საკუთრების უფლების დაცვაში, მთელ რიგ სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, ვინაიდან მესაკუთრეს ხელს უშლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები მიზანშეწონილია- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მიღებული იქნეს საქართველოს ორგანული კანონის სახით; ამ კოდექსის 170-ე მუხლი მოვიდეს შესაბამისობაში მისსავე დასახელებასთან, ანუ მასში შეტანილი იქნეს საკუთრების ცნება; კერძო პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის საკუთრებასთან დაკავშირებით დავა ნაცვლად ადმინისტრაციული სამართალწარმოებისა დაექვემდებაროს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო

განხილვას და აშ., რაც ხელს შეუწყობს საკუთრებაზე უფლების ეფექტურ განხორციელებას.

ბ) ნაშრომის მიზანი:

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, ერთი მხრივ, თანამედროვე საქართველოში უძრავი ქონებისა და ცალკეული არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების დაცვისათვის არსებული პრობლემატიკის იდენტიფიცირება, რაც იძლევა საშუალებას დავინახოთ თუ რამდენად აგრძელებს ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა ამ მიმართებით არსებულ მდიდარ ტრადიციებს და რამდენადაა იგი შესაბამისობაში მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში არსებულ სამართლებრივ სისტემებთან.

ნაშრომის მიზანია ისიც, რომ ამ მიმართებით ჩატარებული კვლევის შედეგების თაობაზე დასკვნებმა, რომელთა დასაბუთებისთვის უხვად არის გამოყენებული, როგორც ეროვნული, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე ნაშრომის შესაბამის ველში წარმოდგენილმა რეკომენდაციებმა, ხელი შეუწყოს არამხოლოდ ეროვნული სასამართლო პრაქტიკის სრულყოფა-განვითარებას, არამედ არსებული კანონმდებლობის შემდგომ დახვეწას, რათა შესაძლებელი გახდეს, როგორც უძრავი, ისე ცალკეული არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების (მაგალითად, ლიცენზიების, ნებართვების და ა.შ.) მესაკუთრეების ჩაყენება მოძრავ ნივთთა მესაკუთრეებთან თანაბარ მდგომარეობაში.

გ) კვლევის ამოცანები:

დასახული მიზნებიდან გამომდინარე კვლევის ამოცანებია:

- კერძო სამართალში უძრავ ნივთებასა და ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე საკუთრების უფლების განხორციელების პრობლემის ხელშემშლელი გარემოებების შესწავლა-გამოკვლევა და შეფასება;

- საკუთრებაზე უფლებ(ებ)ის განხორციელების მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტებისა და მათი ცალკეული ნორმების შედარებითი ანალიზი, ასევე მათი სიცხადის, განჭვრეტადობის და ეფექტურობის შეფასება;

- იმის წარმოჩენა რამდენად სამართლიანად და ეფექტურადაა დაცული უძრავ ნივთებზე და ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე საკუთრების უფლება ჩვენს ქვეყანაში და რა სახის საკანონმდებლო და სხვა სახის აქტივობებია საჭირო გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად.

დ) კვლევის მნიშვნელობა:

კვლევა და ამ პროცესში გაკეთებული დასკვნები მნიშვნელოვანია, რადგან სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად იმ საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის იდენტიფიცირება მოხდა, რომლებიც კერძო სამართალში ხელს უშლის მესაკუთრეს უძრავ ნივთებსა და ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე სრულად და ჯეროვნად განახორციელოს საკუთრების უფლება.

ე) კვლევის მეთოდოლოგია (კვლევის მეთოდები):

სადისერტაციო კვლევისას გამოყენებულია სამეცნიერო კვლევის დოგმატური და ნორმატიული მეთოდები. ამასთან, ნაშრომი ვინაიდან აგებულია შედარებით მასალაზე, გამოყენებულია ისტორიული კვლევის და კომპარატივისტიკის-შედარებითი ანალიზის მეთოდი, ასევე შედარებით-სამართლებრივი, სისტემური, დესკრიფციული, ფორმალური-იურიდიული, ანალიტიკური და სინთეზური მეთოდებიც.

ყოველივე ამან კი, თავის მხრივ, შესაძლებლობა მოგვცა, რომ წარმოგვეჩინა საკვლევ თემასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული რეალობის დადებითი და უარყოფითი მხარეები და შეგვემუშავებინა ამ მხრივ ყველაზე უფრო რაციონალური და ოპტიმალური წინადადებები.

რამიც, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ გარემოებამაც, რომ თეორიული საკითხები განხილულია და გაანალიზებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს საერთო სასამართლოების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

რაც შეეხება კვლევისას გამოყენებულ მეთოდებს, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს:

კომპარატივისტიკის/ შედარებითი ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველზე საკვლევი თემა შეძლებისამებრ შესწავლილია ქართული და უცხოური სამეცნიერო იურიდიული (და არამხოლოდ) ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე. სხვადასხვა ქვეყნის მოწინავე სამართლებრივი სისტემის სამართლის ნორმები და სასამართლოს ცალკეული გადაწყვეტილებები/პრაქტიკა კი შედარებულია საქართველოს საკონსტიტუციო თუ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებთან და წარმოჩენილია ქართულ და უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებებში არსებული მსგავსება თუ განსხვავება.

ისტორიული მეთოდის გამოყენების საფუძველზე სადისერტაციო ნაშრომში აღწერილია საკუთრების უფლების და ამ უფლების განხორციელების ისტორიული განვითარება, მისი როლი და

მნიშვნელობა სამართლიანობის დამკვიდრებისათვის, რაც თავის მხრივ სამართლებრივი უსაფრთხოების და სტაბილურობის გარანტიაა.

დეკრიფციული მეთოდის გამოყენების საშუალებით სადისერტაციო ნაშრომში განვითარებულია (გატარებულია) არაერთი იმ სახის მსჯელობა, რაც იძლევა საკვლევი საკითხების ირგვლივ ინფორმაციის გადმოცემის საშუალებას, რომლებიც გაანალიზებულია ნაშრომის შესაბამის ნაწილებში.

სინთეზური მეთოდის გამოყენებით სადისერტაციო ნაშრომში ხაზგასმულია საკვლევი თემის კონტექსტში აქტუალური საკითხები.

რაც შეეხება ფორმალურ-იურიდიულ მეთოდს მან მოგვცა შესაძლებლობა დაგვეკონკრეტებინა საკვლევ თემასთან დაკავშირებული იურიდიული ცნებები, დაგვეზუსტებინა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები და ნორმატიული მასალის სათანადოდ შესწავლის საფუძველზე ჩამოგვეყალიბებინა შესაბამისი რეკომენდაციები.

ვ) კვლევის შედეგები:

კვლევის შედეგად გამოვლინდა არაერთი პრობლემური საკითხი, რომელიც საკმარისად არ არის გაანალიზებული ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში. ამასთანავე, წარმოჩინდა საკუთრების უფლების განხორციელებისას, მასზე უარყოფითი ზემოქმედების მომხდენი ფაქტორები.

უძრავ ნივთებსა და ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე საკუთრების უფლების განხორციელების პრობლემის ანალიზიდან გამომდინარე დასკვნების საფუძველზე კი, მომზადდა მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები სამოქალაქო და სხვა ისეთ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების თაობაზე, რომლებიც დაკავშირებულია საკუთრების უფლების განხორციელებისას კანონით გათვალისწინებულ შემბოჭველ გარემოებებთან.

აღნიშნული, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საკუთრების უფლების განხორციელების მომწესრიგებელი ნორმების შემდგომ დახვეწას და საკუთრებაზე უფლების ეფექტიან განხორციელებას, ასევე ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას, რომელიც სამართლიანი სასამართლოს პრინციპზე იქნება დამყარებული.

ზ) ნაშრომის ინფორმაციული ბაზა:

ნაშრომის ინფორმაციულ ბაზას შეადგენს- საქართველოს კონსტიტუცია; „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენცია (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი); „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი (პარიზი, 1952 წლის 20 მარტი); საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი; „წილის შესახებ“ საქართველოს კანონი; „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის ჩემს მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები, კერძოდ:

1. „საკუთრების სოციალური ბუნება საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საზღვარგარეთ და საქართველოში“ (გამოქვეყნებულია სამეცნიერო ურნალ „სპექტრში“ - ტომი 11, N1, (2025);
2. „უძრავ ნივთებზე და ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე საკუთრების უფლების დაცვის შესახებ კანონმდებლობის განვითარების გზა“ (გადაცემულია დასაბეჭდად და გამოქვეყნდება საერთაშორისო რეცენზირებად და რეფერირებად სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალ „The New Economist“-ის („ახალი ეკონომისტის“) 2026 წლის მე-2 ნომერში);
3. „საკანონმდებლო ხარვეზი, როგორც საკუთრების უფლების განხორციელების ხელშემშლელი ფაქტორი ქართულ კერძო სამართალში“ (გადაცემულია დასაბეჭდად და გამოქვეყნდება საერთაშორისო რეცენზირებად და რეფერირებად სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალ „The New Economist“-ის („ახალი ეკონომისტის“) 2026 წლის მე-3 ნომერში).

თ) ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:

ნაშრომი შედგება შესავალის, 4 ძირითადი თავის, ასევე დასკვნების, წინადადების და რეკომენდაციებისაგან, რომლებიც შეტანილია მე-5 თავში.

სადისერტაციო ნაშრომის თავები დაყოფილია პარაგრაფებად და სადისერტაციო ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის დასახელება (ნუსხა).

დაბოლოს, აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომით ვეცადეთ, ჩვენი მოკრძალებული დამოკიდებულება ჩამოგვეყალიბებინა იმ საკითხებისადმი, რომლებთან მიმართებითაც ვთვლით, რომ მნიშვნელოვანი გამოწვევები თუ საკანონმდებლო ხარვეზები არსებობს და, რომელთა აღმოფხვრისა თუ დახვეწის გარეშე შეუძლებელია საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლიანი მოწესრიგების და, მეტიც საერთოდ სამართლებრივი სტაბილურობის დამკვიდრება საქართველოში.

ასევე, გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამყაროში, რა თქმა უნდა, არაფერს არ შეიძლება ჰქონდეს სრულყოფის პრეტენზია. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომიც არ არის გამონაკლისი.

ამდენად, სიამოვნებით მოვისმენთ და შესაძლებლობისამებრ გავითვალისწინებთ გამოთქმულ შენიშვნებს და საინტერესო მოსაზრებებს, რომლებიც შემდგომში, კიდევ უფრო მეტად, შეუწყობს ხელს ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრობლემების/გამოწვევების აღმოფხვრას.

დასასრულს, მოვიშველიებთ დიდი კანონმდებელი მეფის - ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულის შესავალში არსებულ შეგონებას: „მე ეს წიგნი ასრე არ დამიწერია, და არცა ვჩემობ, რომე არა აკლდეს რა. ბევრი ასეთი საჩივრები არის და მოვა, რომე ზოგი ვერ მოვიგონეთ, და არც მისწვდების კაცის გონება. ვინც მიხვდეს რასმე და მოიგონოს, ჩაურთოს და ჩასწეროს, კარგსა და მართებულსა იქს.“

თავი 1. საკუთრების ცნება, მისი სოციალური ბუნება და საკუთრების უფლების შინაარსი

პირველი თავი შედგება შემდეგი 3 პარაგრაფისაგან:

§1. საკუთრების ცნება და არსი;

§2. საკუთრების უფლების შინაარსი;

§3. საკუთრების სოციალური ბუნება.

კვლევის შედეგად აღნიშნულ თავში ნაჩვენებია, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსი, მიუხედავად იმისა, რომ ამ კოდექსის 170.1-ე მუხლის დასახელებაა „ცნება. საკუთრების შინაარსი“ არ იძლევა საკუთრების ლეგალურ დეფინიციას. ხოლო, რაც შეეხება საკუთრების შინაარს სსკ-ის 170.1-ე მუხლის მიზნებისათვის მასში იგულისხმება მესაკუთრის უფლებასმოსილება კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს არა მთიანად იმ ქონებას, რომლებიც მოცემულია სკ-ის 147-ე მუხლში, არამედ მხოლოდ უძრავ-მოძრავ ნივთებს.

შესაბამისად, არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები (მაგ. ლიცენზია, ნებართვა და ა.შ.), რომლებიც კერძოსამართლებრივი ბრუნვის ობიექტებად აღიარა სკ-ის მე-7 მუხლმა და მიეკუთვნება ქონების ჩამონათვალს (სკ-ის 147-ე მუხლი), საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნებისაგან, ევროსასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავებით, ქართულ სინამდვილეში ნაკლებადაა დაცული. საგულისხმოა ისიც, რომ მთელ რიგ სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, საკუთრების უფლების ეფექტიანად განხორციელების ხელშემშლელ გარემოებას არაერთ საკანონმდებლო აქტში არსებული ხარვეზი განაპირობებს.

თავი 2. უძრავი ნივთი და ცალკეული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი მეორე თავი შედგება 3 პრაგრაფისაგან:

§1. საკუთრება, როგორც კერძოსამართლებრივი ბრუნვის ობიექტი;

§2. უძრავი ნივთი, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი;

§3. არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი.

მეორე თავში წარმოდგენილია კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტები და მათი სახეები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170.1-ე მუხლის მიზნებისათვის, ვინაიდან საკუთრების უფლების ობიექტია არა მთლიანად ქონება იმ გაგებით, რაც მოცემულია სკ-ის 147-ე მუხლში, არამედ ქონების ნაწილი, კერძოდ ნივთი, წარმოდგენილია დასკვნა იმის შესახებ, რომ ფორმალურად ცალკეული არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, მაგ. ლიცენზია დაცვას დაქვემდებარებული საკუთრების ობიექტია. თუმცა, რეალურად ნივთებისაგან განსხვავებით მისი მესაკუთრე ნაკლებადაა დაცული. ამან კი, სხვა მთელ რიგ გარემოებებთან ერთად, საქართველოს მთავრობას შესაძლებლობა მისცა 2015 წლის 25 მაისს გამოეცა #1044 განკარგულება „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ განსაზოგციელებელი ღონისძიებების შესახებ,” რომლითაც იმ პირთაგან, ვისაც სახელმწიფოს სასარგებლოდ დაათმობინეს ქონება, მესაკუთრეებს დაუბრუნდათ მხოლოდ უძრავ-მოდრავი ნივთები.

თავი 3. საკუთრების, როგორც საყოველთაოდ აღიარებული
უფლების განხორციელების საერთაშორისო მექანიზმები და
ევროსასამართლოს პრაქტიკა

მესამე თავი შედგება 4 პარაგრაფისაგან:

§1. საკუთრების, როგორც საყოველთაოდ აღიარებული უფლების
თაობაზე საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ხანგრძლივი
პერიოდის განმავლობაში მიუღებლობის მიზეზები;

§2. საკუთრების უფლების განხორციელების მექანიზმები
საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში;

§3. საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით
დამკვიდრებული პრაქტიკა;

§4. სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა, როგორც
საკუთრების უფლების დარღვევის კერძო შემთხვევა.

მესამე თავში ახსნილია თუ რამ განაპირობა, ერთი მხრივ, ხანგრძლივი
დროის მანძილზე საკუთრებასთან დაკავშირებით საერთაშორისო
სამართლებრივი აქტების მიუღებლობა. ასევე, ნაჩვენებია, შემდგომში
თუ რა განაპირობა საკუთრების უფლების ეფექტურად დაცვის
აუცილებლობა. წარმოდგენილია საკუთრებასთან დაკავშირებით
მიღებული არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი და ადამიანის
უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე ათეული
პრეცედენტული გადაწყვეტილება. მათი ანალიზის საფუძველზე კი,
გამოკვეთილია არაერთი სტანდარტი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს
ხელშემკვრელი სახელმწიფო იმისთვის, რომ მის ტერიტორიაზე
საკუთრების უფლება ჩაითვალოს დაცულად.

თავი 4. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდის
საქართველოში საკუთრების უფლების განხორციელების
მექანიზმები და მიღებული სამართლებრივი აქტების
ეფექტურობის პრობლემა

/შენიშვნა: ნაშრომის მოცემულ მონაკვეთში (თავში) კვლევა შეეხება მართოდენ უძრავ ქონებასა და ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებს/

მეოთხე თავი შედგება 2 პარაგრაფისაგან:

§1. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდის საქართველოში საკუთრების უფლების განხორციელების სამართლებრივი მექანიზმები;

§2. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდის საქართველოში საკუთრების უფლების განხორციელების მექანიზმების ეფექტურობის პრობლემა.

წინამდებარე თავში განხილულია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდის საქართველოში საკუთრების უფლების განხორციელების სამართლებრივი აქტივობები და გაანალიზებულია მათი შესაბამისობა, როგორც ქვეყნის ტრადიციებთან, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში ამ მიმართებით არსებულ ანალოგებთან. ქართული სასამართლო პრაქტიკის, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით დამკვიდრებულ სტანდარტებთან შესადარებლად კი, მოტანილია არაერთი ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილება, რომლებიც ადასტურებს წინამდებარე ნაშრომში ჩამოყალიბებული დასკვნების მართებულობას. აღნიშნული დასკვნებით კი, ნაჩვენებია, რომ უძრავ ნივთებსა და ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საკუთრების უფლების განხორციელება ერთობ პრობლემურია.

დაბოლოს, მე-5 თავის - „დასკვნები და წინადადებები/ რეკომენდაციები“ კვლევის პროცესიდან გამომდინარე მიღებული შედეგები წარმოადგენს არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ პრაქტიკული ღირებულების შემცველ დასკვნებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული თავი ავტორეფერატში წარმოდგენილია სრულად.

თავი 5. დასკვნები და წინადადებები/ რეკომენდაციები

§1. დასკვნები

დისერტაციის ფარგლებში განხორციელებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსისათვის უცხო საკუთრების ცნების ლეგალური დეფინიცია. საკუთრების შინაარსი კი მოიცავს მესაკუთრის, როგორც პოზიტიურ ისე ნეგატიურ უფლებამოსილებებს, კანონისმიერი ან სახელმწიფოებრივ შებენი ფარგლების გათვალისწინებით. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 170.1-ე მუხლის მიზნებისათვის საკუთრების ობიექტი შემოფარგლულია მხოლოდ უძრავ-მოძრავი ნივთებით. შესაბამისად, არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები, რომლებიც კერძოსამართლებრივი ბრუნვის ობიექტად აღიარა კანონმა, საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში ნივთებთან შედარებით ნაკლებადაა დაცული;

საკუთრებისათვის დამახასიათებელია თანმდევი კანონისმიერი ტვირთი, რაც მისი სოციალური ბუნებიდან გამომდინარეობს. საკუთრებამ უნდა დააკმაყოფილოს საზოგადოებრივი ინტერესებიც, კერძო ინტერესების გარდა. მაშასადამე, საკუთრება მარტოოდენ პირველყოფილი თემური წყობილების დროს როდი იყო სოციალური დატვირთვის მატარებელი. მართალია სრული სოციალური დატვირთვა მას ამ თვალსაზრისით მხოლოდ დასახელებულ ისტორიულ ეპოქაში გააჩნდა, თუმცა თანამედროვე სამართალი და სოციალური სახელმწიფო, როგორადაც არის აღიარებული საქართველო მისი კონსტიტუციით, გვერდს ვერ აუვლის ამგვარი ტვირთისაგან საკუთრების სრულ გათავისუფლებას. სხვა საზოგადოებრივი ფორმაციის მქონე სახელმწიფოებში საკუთრებას, ან არ ჰქონდა სოციალური ბუნება (მაგ.ინგლისი, გერმანია), ან ჰქონდა უმნიშვნელოდ, ან/და საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე თავიდან გააჩნდა, მაგრამ შემდეგ უარი თქვა მასზე (მაგ. საფრანგეთი) კერძო პირთა საკუთრების სასარგებლოდ.

ქართული სახელმწიფო თავისი ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მეტ-ნაკლებად ზრუნავდა საზოგადოების ნებისმიერი ჯგუფისა თუ ცალკე აღებული რომელიმე ინდივიდის საკუთრების უფლების დაცვაზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, საქართველოში, საკუთრების უფლება იყო სოციალური ბუნების მატარებელი და ეს ტენდენცია უნდა გაგრძელდეს დღესაც. კონსტიტუციით უზრუნველყოფილი იმპერატივი იმის შესახებ, რომ

საქართველო არის სოციალური სახელმწიფო, უწინარეს ყოვლისა საკუთრების უფლების უზრუნველყოფაში უნდა იქნეს გამოხატული. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი უშვებს საჯარო ინტერესებისთვის აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე საკუთრების ჩამორთმევის შესაძლებლობას, თუმცა, ნაცვლად იმისა, რომ ქონების ჩამორთმევა მომხდარიყო კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში და წინმსწრებად ჩამორთმეული ქონების სრული ღირებულების გადახდით, ხოლო ჩამორთმეული ქონება მოხმარებოდა საზოგადოების ინტერესებს, მთელ რიგ შემთხვევებში, კანონის დარღვევით (მაგ. გაყალბებული დოკუმენტებით, ან იმის გამო, რომ უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების თითქოს ზედდებაში იყო სახელმწიფო საკუთრებასი არსებულ მიწის ნაკვეთთან და ა.შ.), ფაქტობრივად ჩამორთმეული ქონება, საზოგადოებრივი მოხმარების ნაცვლად, გადაეცემოდა ცალკეულ პირებს და ემსახურებოდა მათი ინტერესების დაკმაყოფილებას. ამას კი, ქართული სამართლის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მთელ რიგ სუბიექტურ ფაქტორებთან (მოხელეთა მიერ დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, არასწორად გაგებული საჯარო და კერძო ინტერესი, პოლიტიკური მოტივაცია და ა.შ.) ერთად, ხელს უწყობდა სამოქალაქო კოდექსსა და რიგ სხვა საკანონმდებლო აქტებში მიზანმიმართულად ისეთი ნორმების შეტანა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა, როგორც საქართველოს კონსტიტუციის, ისე საკუთრების უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით ევროსასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს. საკუთრების უფლების განხორციელების ხელშეშლელ ერთ-ერთ გარემოებას წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 170.1-ე მუხლის დანაწესი, რომლითაც საკუთრების უფლების ობიექტი კანონმდებელს დავიწროებული აქვს. აღნიშნული კი, განაპირობებს იმას, რომ საკუთრების უფლების ობიექტი ორბუნებოვანია. ვიწრო გაგებით დაცვას დაქვემდებარებული ქონება შეიძლება იყოს მხოლოდ სხეულებრივი ნივთები, ხოლო ფართო გაგებით, ასევე არამატერიალური ქონებრივი სიკეთეც. ე.წ. უსხეულო ნივთები, თუმცა, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არაერთი ნიშნით, მათ შორის სამართლებრივი დაცვის ხარისხით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1519-ე მუხლის სავალდებულო დანაწესი, რომლის თანახმადაც „სამოქალაქო კოდექსში გამოყენებული ცნებები და ტერმინები ადეკვატურად უნდა იქნეს გამოყენებული ყველა სხვა სამართლებრივ აქტში,“ იერარქიულად ამ კოდექსთან თანაბარი იურიდიული ძალის მქონე არაერთ კანონში, უძრავი ქონების ცნების

ნაწილში განსხვავებულადაა წარმოდგენილი, რომელიც რიგ პრობლემებს ქმნის, რაც ნათლად გამოჩნდა ლიცენზიის სამართლებრივი ბუნების და მიწის ნაკვეთში აღმოჩენილი წიაღისეულის სტატუსის მაგალითზე. წიაღის შემცველი მიწის მესაკუთრეს არა აქვს შესაძლებლობა განახორციელოს საკუთრების უფლება. მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, მასში წიაღის აღმოჩენის შემთხვევაში დარჩენილია დაცვის გარეშე, რადგან მოძრავი ნივთებისგან განსხვავებით, უძრავ ნივთებთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს ნორმას, რომელიც მოაწესრიგებს ორი უძრავი ნივთის შერწყმის ანდა დაკავშირების შედეგად წარმოქმნილ ახალ ნივთზე, მისი შემადგენელი ნაწილების მესაკუთრეთა უფლებებს.

ეს მაშინ, როცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, იმის გამო, რომ არამატერიალური სიკეთის უკან პირის უფლებები დგას თავისი პრეცედენტული გადაწყვეტილებებით, მნიშვნელოვნად გააფართოვა საკუთრების დაცვის ობიექტთა წრე. ვინაიდან, მოთხოვნის უფლება, პენსია, სასამართლოს მიერ დადასტურებული უფლება, აქციები, პატენტები, ნებართვები, ნებისმიერი ეკონომიკური ინტერესი, გარკვეული მდგომარეობის ლეგიტიმური მოლოდინი და ლიცენზიები დაცვაუნარიანია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით დამკვიდრებული პრაქტიკის მსგავსად, არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები, სამოქალაქო კოდექსშიც საკუთრების ფართო ცნებაში მოიაზრებიან, მაგრამ რეალურად სკ-ის 170.1-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, საკუთრების განხორციელების მექანიზმი დაყვანილია მხოლოდ ნივთებამდე. ვინაიდან მესაკუთრეს მხოლოდ მაშინ ეძლევა საკუთრებით სარგებლობის, ფლობის და განკარგვის უფლებამოსილება, როცა საკუთრების ობიექტი ნივთია, არამატერიალური ქონებრივი სიკეთის - კონკრეტულ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი, დატოვებულია რეალური დაცვის გარეშე.

ფორმალურად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღიარებს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საკუთრების უფლებას თავის დაცვის ობიექტად, თუმცა, მას დაცვის ისეთი მექანიზმი და გარანტიები არ გააჩნია, როგორც ნივთებს.

დიდი ხნის განმავლობაში საკუთრების უფლების დაცვა ეროვნულ სახელმწიფოთა პეროგატივას წარმოადგენდა და მთელი რიგი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით ვერ ხერხდებოდა ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მიღება,

რომლებიც შეძლებდა სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებთა ინტერესების თანაბრად დაცვას.

თუმცა, მოგვიანებით საკუთრების უფლების დასაცავად არაერთი საერთაშორისო აქტი იქნა მიღებული. მეტიც, შეიქმნა ევროპული სასამართლო, რომელმაც ამ კუთხით არაერთი მნიშვნელოვანი პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო, მათ შორის ის, რომ:

ა.) ევროპული კონვენციის N1 დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მოქმედება ვრცელდება ზოგადად ქონებაზე, ანუ ყველა ნივთზე და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე;

ბ.) სახელმწიფოს ევალება მყარი გარანტიების შექმნა, რათა საკუთრება რეალურად იყოს დაცული. თუმცა, სახელმწიფოს რჩება საკუთრების შეზღუდვის და ჩამორთმევის შესაძლებლობა;

გ.) საკუთრება არ არსებობს იმ მომენტამდე, სანამ პირს არ შეუძლია განაცხადოს თავისი საკუთრების უფლების შესახებ ამ ქონებაზე;

დ.) სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება ხელი შეუშალოს საკუთრების უფლების დარღვევას, თუმცა ამავდროულად ძალზედ მცირეა ევროსასამართლოს პრაქტიკა იმასთან დაკავშირებით, თუ როდის ეკისრება სახელმწიფოს აქტიური მოქმედების ვალდებულება ამ უფლების დასაცავად.

თუმცა, ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ევროსასამართლო თითქმის ამართლებდეს ხელისუფლების დომინანტურ მდგომარეობას საკუთრებასთან მიმართებაში, რადგან ევროსასამართლომ საკუთრებით სარგებლობისა და განკარგვის შესაძლებლობის შეზღუდვა შეაფასა საკუთრების ჩამორთმევად იმ შემთხვევაშიც, როდესაც მესაკუთრე ფორმალურად მართალია კვლავ რჩებოდა (ითვლებოდა) ქონების მესაკუთრედ, თუმცა რეალურად საკუთრებით სარგებლობა და მისი განკარგვის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად ჰქონდა შეზღუდული;

ე.) ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებით დასაშვებად არის მიჩნეული, რომ კანონმდებელს, რომელიც ახორციელებს სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკას მინიჭებული უნდა ჰქონდეს ფართო შესაძლებლობები იმოქმედოს თავისი მიხედულებით საზოგადოებრივ ინტერესებზე მსჯელობისას.

ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა პატივი უნდა სცენ კანონმდებელთა მსჯელობას „საზოგადოებრივ ინტერესებზე.“ გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონმდებლის გადაწყვეტილება დამყარებული არ არის გონივრულ მოსაზრებაზე;

ვ.) ევროსასამართლო არ ამართლებს ხელისუფლების დომინანტურ ჩარევას საკუთრებასთან მიმართებაში. ანუ, მას არ შეუძლია ისეთი

რეგლამენტის შემუშავება, რომელიც უფლებას აძლევს სახელმწიფოს წარმომადგენლებს ჩაერიონ კერძო ხასიათის გარიგებებში და მაგალითად სახელმწიფოს კუთვნილი შემოსავლების აკრეფის გასამარტივებლად სახელმწიფო ბიუჯეტში მიაქციონ ის თანხები, რომლებიც გარიგების მონაწილეს უნდა მიეღო.

სახელმწიფო არ უნდა იყენებდეს მისივე რეგლამენტით დადგენილ უპირატეს უფლებას კერძო გარიგებებში, მით უფრო მაშინ, თუ ეს რეგლამენტი არ შეიცავს პროცედურულ გარანტიებს მესაკუთრეებისათვის, რადგან სხვა შემთხვევაში ეს იქნებოდა ძლიერი წნეხი სახელმწიფოს მხრიდან მესაკუთრეებზე;

ზ.) სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მესაკუთრის მიერ საკუთრებით დაუბრკოლებლად სარგებლობის უფლება და აღნიშნული უფლების შეზღუდვაც არ შეიძლება გამართლდეს პოლიტიკური და სხვა ვითარებიდან გამომდინარე;

თ.) საკუთრების/ ქონების ჩამორთმევის შემთხვევაში სახელმწიფომ თავი არ უნდა აარიდოს კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას, რადგან სახელმწიფოს არ შეუძლია ცალმხრივი წესით შეცვალოს/ გააუქმოს კომპენსაცია იმ ზარალისათვის, რაც მესაკუთრემ განიცადა;

ი.) ეროვნულ მთავრობას არ შეუძლია ახლი კანონის მიღებით ანულისებობა მოახდინოს იმ უფლებისა, რომლითაც პირებს/ პირთა ჯგუფს ეკრძალება სასამართლოში სარჩელის შეტანა;

კ.) საკუთრების ჩამორთმევა მის ღირებულებასთან შედარებით გონივრული ანაზღაურების გარეშე წარმოადგენს ქონებით სარგებლობის უფლებაში სახელმწიფოს გაუმართლებელ ჩარევას და არ შეიძლება მიჩნეული იქნეს მართებულად;

ლ.) შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, იმ გადაწყვეტილების გაუქმება, რომელიც მომჩივანს გარკვეული მატერიალური ანაზღაურების მიღების უფლებას ანიჭებდა გავლენას ვერ მოახდენს იმ ფაქტზე, რომ მომჩივანმა ვერ მიაღწია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას;

მ.) ქონებას მიეკუთვნება ყველაფერი, რასაც ფულადი (მატერიალური) ღირებულება გააჩნია. ანუ, ევროკონვენციის #1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით დაცულია შემწეობის, პენსიის, ვალის მოთხოვნის უფლებაც, ისევე, როგორც ამ ნორმით დაცულ ქონებას და შესაბამისად საკუთრებას წარმოადგენს ლიცენზია, ნებართვა და ა.შ.;

ნ.) საკუთრების ცნება ევროკონვენციის N1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მიხედვისათვის ავტონომიური ხასიათისაა. ანუ „მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, იმისთვის, რომ ევროკონვენციის N1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი გამოყენებული იქნეს (ამოქმედდეს),

აუცილებელი არ არის, ეროვნული კანონმდებლობა (შიდა კანონმდებლობა) შესაბამის ინტერესს საკუთრების უფლებად აღიარებდეს. „საკუთრების“ (possessions)) ცნება კონვენციის მიზნებისთვის ავტონომიური ხასიათისაა“;

ო) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედველობის განმახორციელებელმა ორგანომ - ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტმა, რომელსაც მაკონტროლებელი ფუნქცია გააჩნია, 2000 წლის 19 იანვარს, 694-ე სხდომაზე მიიღო #R(200)2 რეკომენდაცია, რომელშიც, ერთი მხრივ, აღინიშნა, რომ ევროსასამართლოს კომპეტენციაში არ შედის ეროვნული სახელმწიფოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა, თუმცა ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ განმცხადებელი არ უნდა დარჩეს დაცვის იურიდიული საშუალების გარეშე მაშინაც, თუ ზიანი მცირე მნიშვნელობისაა. ევროსასამართლომ არ შეიძლება უარი განაცხადოს საქმის მიღებაზე თუ ასეთი საშუალება არ არსებობს ქვეყნის შიგნით;

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები მართალია იცავს კერძო საკუთრებას და შესაბამისად, ქონების მესაკუთრეებს, მაგრამ ამავდროულად, კიდევ უფრო განმტკიცდა, დიდი ხნის მანძილზე, საერთაშორისო სამართალში გაბატონებული ე.წ. „აბსოლუტური იმუნიტეტის პრინციპი (კონცეფცია)“, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო თავისუფალია სხვა სახელმწიფოების იურისდიქციისგან, ანუ მის მიმართ სხვა საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს, სხვა სახელმწიფოებს არა აქვთ უფლება რაიმე იძულებითი ხასიათის ღონისძიება გამოიყენოს.

მეტიც, 1972 წლის 16 მაისს მიღებულმა კონვენციამ - „სახელმწიფო იმუნიტეტის შესახებ“ საჭიროდ ჩათვალა დაეკონკრეტებინა ისეთი შემთხვევები, როცა ეროვნულ სახელმწიფოს შეუძლია არ ცნოს უცხო ქვეყნის იმუნიტეტი და ასეთ შემთხვევებს მიაკუთვნა: ა) შემთხვევა, როცა უცხო სახელმწიფო საკუთარი სურვილით უარს განაცხადებს იმუნიტეტის გამოყენებზე; ბ) თუ ის თავად წარადგენს სარჩელს; გ) თუ დავა წარმოიშობა შრომითი ხელშეკრულების, უძრავი ქონების, ზიანის ანაზღაურების, სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში და ა.შ.

1991 წელს საერთაშორისო სამართლის კომისიამ შეიმუშავა პროექტი სახელმწიფოთა იმუნიტეტის და მათი საკუთრების შესახებ, რომელიც უძრავ ნივთებსაც შეეხებოდა, თანაც რეკომენდაცია მისცა გაეროს გენერალურ ანსამბლეს, მოეწვია საერთაშორისო კონფერენცია

აღნიშნული პროექტის განხილვა-მიღების თაობაზე. თუმცა, ეს რეკომენდაცია არ შესრულებულა, მაგრამ კაცობრიობამ დაინახა, რომ გარკვეულ წილად მოძველდა საკუთრებასთან დაკავშირებით აბსოლუტური იმუნიტეტის კონცეფცია და საჭიროა საერთაშორისო კერძო სამართლის იმ დოქტრინის განვითარება, რომელიც „რელატიური ანუ, შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის“ სახელწოდებით არის ცნობილი. აღნიშნული გაზიარებულია საქართველოშიც. ერთი მხრივ, სახელმწიფო საჯარო სამართლის იურიდიული პირია და სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ისე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო, მეორე მხრივ, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება, როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო საქმიანობისას, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნების მიმართ;

ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა არაერთი პრეცედენტული გადაწყვეტილებებით დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკასთან ქართული კანონმდებლობის თანხვედრაში მოსაყვანად, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების შემდეგ, საწყის ეტაპზევე, არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მეტიც, საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად მიღებული საკანონმდებლო აქტები არამხოლოდ თანხვედრაში იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებთან, არამედ ცალკეულ შემთხვევაში სჯობდა კიდევაც მათ. მხედელობაში გვაქვს საქართველოს კონსტიტუციის 21.3-ე (ახლანდელი რედაქციის 19.3-ე) მუხლის დანაწესი, სადაც აღნიშნულია, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით. მაშინ, როცა ევროსასამართლო ქონების ჩამორთმევისას საკმარისად მიიჩნევს არა სრული ღირებულების, არამედ გონივრული საფასურის გადახდას;

თუმცა, მოგვიანებით განხორციელებულმა არაერთმა საკანონმდებლო ცვლილებამ, არათუ ვერ უზრუნველყო უძრავ ნივთებსა და ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სუკეთეებზე საკუთრების უფლების განხორციელების კუთხით ქვეყანაში დაწყებული დადებითი დინამიკის გაგრძელება, არამედ ცალკეულ შემთხვევებში, ისეთი საკანონმდებლო

დანაწესები იქნა მიღებული, რომლებიც დღემდე ბარიერს ქმნის საკუთრების უფლების ეფექტიანად განხორციელების პროცესში.

კერძოდ, ეფექტიან დაცვასაა მოკლებული უძრავი ქონების, ანუ მიწის მესაკუთრე თუ მის ნაკვეთში აღმოჩნდება წიაღისეული, რადგან ქართული კანონმდებლობის თანახმად წიაღისეული სახელმწიფოს ექსკლუზიურ საკუთრებად განიხილება მაშინაც, თუ მიწა კერძო საკუთრებაშია.

აღნიშნული გარემოება კი, ეწინააღმდეგება ერთიანი საკუთრების პრინციპს, რადგან ფაქტობრივად განუყოფელი საკუთრება მიწის ნაკვეთსა და მასში არსებულ წიაღისეულზე ხელოვნურადაა გახლეჩილი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის საზიანოდ. ეს მაშინ, როცა, მთელი რიგი ქვეყნების, მათ შორის გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 905-ე პარაგრაფის თანახმად, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება ვრცელდება, როგორც მიწის ზედაპირის ზედა სივრცეზე, ისე მიწის მასაზე ზედაპირის ქვემოთ.

ანალოგიურ დანაწესს შეიცავს კვებეკის სამოქალაქო კოდექსის 951-ე მუხლი. თუმცა, მსგავსი მიდგომა არ ახასიათებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, რომელიც ანგარიშს არ უწევს მიწის მესაკუთრის ინტერესებს.

ნაკლებადაა დაცული მიწის მესაკუთრის უფლებები იმ შემთხვევაშიც, როცა მესაკუთრის ნივთში აღმოჩნდება განძი, რადგან თუ მისი აღმოჩენი სხვაა, ნივთის მესაკუთრეს შეუძლია მიიღოს მხოლოდ განძის ღირებულების ნახევარი;

ზემოაღნიშნული და სხვა არაერთი საკანონმდებლო ხარვეზი კი, ისეთ სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, როგორიცაა ცალკეულ საჯარო მოხელეთა არაკომპეტენტურობა, არასწორად გაგებული საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ინტერესი, სახელმწიფო მოხელეთა მიერ დომინანტური ჩარევა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში და ა.შ., არსებითად ეწინააღმდეგება სტრასბურგის სასამართლოს მიერ საკუთრების უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით შემუშავებულ სტანდარტებს, ასევე განაპირობებს საკუთრების უფლების ხელოვნისათვის მყარი ნიადაგის არსებობას.

ჩატარებული კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნულს ხელი შეუწყო იმ საკანონმდებლო ცვლილებებმაც, რომლითაც საკუთრებასთან დაკავშირებით რიგი საკითხები გადატანილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. აღნიშნული ახსნილი იყო იმით, თითქოს, ამ გზით ეფექტიანად, მიუკერძოებლად და ოპერატიულად გახდებოდა

შესაძლებელი სახელმწიფო ორგანოებსა და ცალკეულ პირებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება.

თუმცა, სხვა ქვეყნებისაგან (საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია) განსხვავებით, რომლებშიც საჯარო ინტერესის დაცვის კონტროლის სპეციალური წესის არსებობა გამორიცხავს კერძო ინტერესის ხელყოფას, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შემქმნელებმა აირჩიეს საკითხის გადაწყვეტის ფორმალურ კრიტერიუმებზე დამყარებული და პრაქტიკაში გამოსაყენებლად მარტივი გზა. კერძოდ, ყველა ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელშიც მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო მიეკუთვნა ადმინისტრაციული სამართლის რეგულირების სფეროს, რითაც შესაძლებელი გახდა, უპირატესად ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმების გამოყენება ისეთ შემთხვევაში, რომლებიც სამოქალაქო ბუნებისაა, მაგრამ მასში ადმინისტრაციული ორგანო მონაწილეობს. ასეთი გადაწყვეტა არამართებულია, რადგან სამართლებრივი ურთიერთობის დარგობრივი კუთვნილების განსაზღვრის კრიტერიუმი მარტოოდენ მასში მონაწილე სუბიექტი კი არ არის, არამედ სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები სრულად და მათი ანალიზი.

თანაც, საჯარო ინტერესის დაცვის კონტროლის სპეციალური წესის არარსებობას, 2009 წლიდან დაემატა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2.5 მუხლის დანაწესი, რომელმაც კანონით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, გამორიცხა სასამართლოს მიერ სარჩელის მიღება, თუ პირი არ გამოიყენებს საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობას ზემდგომი ორგანოსათვის. ყოველივე ამით განუსაზღვრელი უფლებები მიენიჭა დაინტერესებულ ადმინისტრაციულ ორგანოს, მათ შორის ის, რომ ხშირ შემთხვევაში, დროულად არ ხდება განცხადება/საჩივრის განხილვა.

სასამართლო, ადმინისტრაციული სარჩელის მიღების შემდეგ, არცთუ იშვიათად, ან საქმეს განსჯადობით უგზავნის სხვა სასამართლოს სამოქალაქო წესით განხილვისათვის, ანდა ხანგრძლივი დროის შემდეგ საქმეს ხელახლა განხილვისათვის უკან უბრუნებს ადმინისტრაციულ ორგანოს მაშინაც, როცა ფაქტობრივად გამოსაკვლევი და დასადგენი არაფერია. ყოველივე ამით კი, პირს, რომლის საკუთრების უფლება შეილახა ადმინისტრაციული ორგანოს/თანამდებობის პირის უკანონო ქმედებით, არაერთჯერადად („რამდენიმე წრეზე“) უწევს, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში, ისე სასამართლოში, ერთი და იგივე პროცედურების გავლა.

სამართალდამცავი ორგანოსათვის მიმართვას აზრი ჰქონდა/აქვს დაკარგული, რადგან 2010 წლის 10 ოქტომბრიდან საქართველოს იუსტიციის მინისტრის #181 ბრძანებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, პროკურორს და გამომძიებელს, იმ მოტივით თითქოს ქვეყანას არ გააჩნდა სათანადო ფინანსური რესურსი, დავალებული ჰქონდათ, დაეცვათ არა ინდივიდის, არამედ საზოგადოების ინტერესი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შედეგად მივიღეთ ის, რომ უკანონოდ, გაყალბებული დოკუმენტებით, ასევე სხვადასხვა უკანონო მანიპულაციების გზით იძულებით წართმეული და სახელმწიფოს სახელზე აღრიცხული ქონება, ან დიდი ხნის დაგვიანებით დაუბრუნდა, ანდა დღემდე არ დაბრუნებია მესაკუთრეს.

აღნიშნული წარმოადგენდა/წარმოადგენს არა ცალკეულ შემთხვევას, არამედ ადგილი ჰქონდა/აქვს მიზანმიმართულ, სისტემური ხასიათის ქმედებას, რომელშიც ჩართული იყო/არის, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი და თვითმართველი ორგანოს წარმომადგენლები. ასევე, სასამართლო და პროკურატურა. ხოლო, განხორციელებული ცალკეული აქტივობა, ან დაგვიანებულია, ანდა თანაბრად არ იცავს მესაკუთრეებს. ასე მაგ. 2015 წლის 25 მაისს საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული #1044 განკარგულება „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ” ამ მხრივ არსებული საკანონმდებლო ხარვეზების პირდაპირი დადასტურებაა, რადგან ამ განკარგულების მიღებამ და მის საფუძველზე წარმოქმნილმა რეალობამ, კიდევ უფრო გამოკვეთა ის, რომ მოქმედი კანონმდებლობა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ნივთების და ცალკეული არამატერიალური ქონებრივი სიკეთის მესაკუთრეებს. კერძოდ, ამ განკარგულების მე-3 მუხლის თანახმად, იძულებით წართმეული ქონების ნაწილი (მხოლოდ უძრავ-მოდრავი ნივთები ნაწილი) დაუბრუნდათ ქონების მესაკუთრეებს. არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები კი, იმ საფუძველით, რომ ისინი არ განეკუთვნებიან ნივთთა კატეგორიას, კვლავინდებურად რჩება არაუფლებამოსილ პირთა უკანონო მფლობელობაში.

კვლევამ აჩვენა ისიც, რომ საკუთრების უფლება ფართოდ უნდა იქნეს განმარტებული. საკუთრების უფლების ფართოდ განმარტებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე

არსებობს მისი რეგისტრაციის გარეშეც, საკუთრების უფლების ფართო გაგება უშუალოდ უკავშირდება ამ უფლების დაუბრკოლებლად და სრულად განხორციელებას, რაც ეფექტიანს ხდის მისი დაცვის მექანიზმებსაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დრომოკმულად გამოიყურება სამოქალაქო კოდექსის ის დანაწესები, რომლებიც აწესრიგებენ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შემენის წესს. შესაბამისად, დაცული უნდა იქნეს არამხოლოდ ნომინალური, ანუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრის უფლებები, არამედ არამატერიალური ქონებრივი სიკეთის სახით არსებული უფლება. მათ შორის გარკვეული მდგომარეობის დადგომის ლეგიტიმური მოლოდინი და ნებისმიერი ეკონომიკური ინტერესი.

ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ისიც, რომ გარეგნული მსგავსების მიუხედავად ერთმანეთს ეწინააღმდეგება უძრავი ნივთის ცნების განმსაზღვრელი დანაწესები, რომლებიც ასახულია რამდენიმე სხვადასხვა ნორმატიულ აქტში.

ასეთი ვითარება არა უბრალოდ გაუგებრობას ქმნის ამ დანაწესების შინაარსის სწორად გაგების საკითხში, არამედ პრაქტიკული პრობლემა იქმნება უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისა და განხორციელების თვალსაზრისით.

კვლევისას ასევე გამოიკვეთა, რომ საკუთრების უფლება არის ფუნდამენტური (ძირითადი) უფლება. ამასთან ის არ წარმოადგენს აბსოლუტურად შეუზღუდავ უფლებას. ეს ფაქტორი გათვალისწინებული იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლში, საკუთრების შინაარსის დადგენისას. ლიტერატურის შესწავლამ ცხადყო, რომ დოქტრინაში და სამეცნიერო კვლევებში საკუთრების უფლების შეზღუდვაზე მსჯელობისას აქცენტი ძირითადად გადატანილია საკუთრების სახელშეკრულებო და კანონისმიერ ბოჭვაზე. სწორედ ეს ორი ნიშანი (კრიტერიუმი) მიჩნეულია საკუთრების უფლების შეზღუდვის განმაპირობებელ ფაქტორად.

საკუთრების უფლება არ ამოიწურება სკ-ის 170-ე მუხლით დადგენილი უფლებამოსილებებით. მესაკუთრის მსგავსი პოზიტიური და ნეგატიური უფლებამოსილებებით არამესაკუთრებაც შეიძლება ისარგებლოს.

აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ მესაკუთრის სტატუსი გაცილებით მეტია. მესაკუთრე თავად განუსაზღვრავს არამესაკუთრეს ნივთით სარგებლობის უფლებამოსილების ფარგლებს. მესაკუთრეს შეუძლია გამორიცხოს ნებისმიერი პირის უფლება ნივთზე.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მოქმედი კანონმდებლობით და სასამართლო პრაქტიკით ჯეროვნად არ არის დაცული ე.წ. სამომავლო საკუთრების უფლება. დასახვეწია უფლების წინასწარი რეგისტრაციის ინსტიტუტი და მისგან გამომდინარე შედეგები. სრულყოფილად არ არის მოწესრიგებული საკუთრების შეძენის საფუძვლები, რაც ცხადად იკვეთება საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესში.

კანონმდებლობის არასრულყოფილება ვლინდება მესაკუთრის დარღვეული უფლებამოსილებების აღდგენის, მაშასადამე საკუთრების დაბრუნების არაეფექტიანი მექანიზმების არსებობაშიც.

აღნიშნული პრობლემა არ შეეხება მარტოოდენ ნივთებზე უფლების აღდგენას, არამედ იგივე პრობლემა არსებობს ლიცენზიებთან (არამატერიალური ქონებრივი სიკეთე) მიმართებითაც.

ლიცენზია, როგორც წესი განსაზღვრული ვადით გაიცემა. მისგან გამომდინარე უფლებების აღდგენის გაჭიანურება ფაქტობრივად ნულად აქცევს ლიცენზიის, როგორც საკუთრების სპეციალური ობიექტის არსს.

ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა კი, ყოველთვის როდი წარმოადგენს იმ სიკეთის მაკომპენსირებელ მექანიზმს, რასაც სამართლის სუბიექტი მიიღებდა საკუთრების უფლების ნატურით დაბრუნების პირობებში. მითუმეტეს, ხშირ შემთხვევაში ზიანის სრული მოცულობის დადგენაც პრობლემას წარმოადგენდეს.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ ერთი მხრივ, სწორად არის ჩათვლილი საკუთრების უფლება და მის დაცვა ხანდაზმულობის მიღმა. მაშასადამე საკუთრების უფლების დაცვა არ არის შეზღუდული დროითი ფარგლებით. თუმცა, სასამართლო პრაქტიკას არ ჩამოუყალიბებია განმარტება საკუთრების თუ რომელ უფლებას ეხება ზემოაღნიშნული მიდგომა. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, განზოგადებული სახით შეიძლება ითქვას, რომ საკუთრების უფლებაში, რომელიც ხანდაზმულობის საგანი არ შეიძლება იყოს, იგულისხმება პირველყოვლისა რეგისტრირებული საკუთრება და ასევე კანონის ძალით ამა თუ იმ სუბიექტის საკუთრებად აღიარებული უფლება. ასეთი რამდენიმე შემთხვევაა, სახელდობრ:

ა.) უფლება სამკვიდროზე;

ბ.) უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლით გათვალისწინებულ ქონებაზე;

გ.) უფლება პრივატიზებულ ბინის წილზე;

დ.) მეუღლის უფლება თანასაკუთრების წილზე. ამასთან, უკანასკნელ შემთხვევაში მეუღლის უფლება შეიძლება გადაიქცეს ფარდობით უფლებად, განქორწინების შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული მსჯელობაც განამტკიცებს შეხედულებას საკუთრების უფლების ფუნდამენტურ ხასიათზე. სწორედ ამიტომ, მსგავს შემთხვევებში ვერ იქნება გამოყენებული სკ-ის 128-ე მუხლის დანაწესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მიმდინარე კანონია. ამით დაკნინებულია სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელობა, რომელსაც თავის დროზე მისმა შემქმნელებმა, სამართლიანად უწოეს მეორე კონსტიტუცია.

ამიტომ, დაუშვებელი უნდა იყოს პრინციპების რანგში აყვანილი სამოქალაქო სამართლებრივი უმნიშვნელოვანესი დებულებების მარტივად შეცვლა უფრო გვიან მიღებული იმავე რანგის სხვა საკანონმდებლო აქტით/აქტებით. ამით სამოქალაქო კოდექსის ფუძემდებლური დებულებები საბაზრო ურთიერთობათა ძირითადი რეგულატორის ფუნქციას კარგავენ.

ზემოაღნიშნული დასკვნების საფუძველზე შემუშავებული იქნა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციები მოქმედი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის სრულყოფის მიზნით.

§ 2. წინადადებები / რეკომენდაციები

უძრავ ნივთებსა და ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე საკუთრების უფლების განხორციელებისას, კვლევის პროცესში გამოვლენილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და სხვა მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში, უნდა განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

I.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იერარქიულად აყვანილი უნდა იქნეს საქართველოს ორგანული კანონის რანგში;

აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს სამართლებრივი ბრუნვის სიმყარეს, სამოქალაქო კოდექსის დებულებების სტაბილურობას და გამორიცხავს წინააღმდეგობრივი პრაქტიკის არსებობას ერთმანეთის მსგავსი ცნებების და კატეგორიების შინაარსის განმარტებას (გაგებას);

II.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი შესაბამისობაში მოვიდეს, ერთი მხრივ, როგორც ამ მუხლის დასახელებასთან, ისე სკ-ის 147-ე მუხლთან, რისთვისაც 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილში არსებული სიტყვა „(ნივთით)“ ამოღებული იქნეს და სკ-ის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საკუთრება არის მესაკუთრის შესაძლებლობა კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში

თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.“;

III.) იმ შემთხვევაში თუ მიწის ნაკვეთში აღმოჩნდება წიაღისეული იგი გამოცხადდეს სახელმწიფოს საკუთრებად.

ამდენად, წიაღისა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრის უფლებათა თანაფარდობა დაკვალიფიცირდეს ფაქტობრივ მდგომარეობად, როდესაც მართალია ფორმალური აქტი საკუთრების ჩამორთმევისა, შეიძლება არც არსებობდეს, მაგრამ რეალურად ვითარება შეიძლება წარმოადგენდეს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების გამო საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევას.

ამიტომ, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, მისი სურვილის გათვალისწინებით, ადგილმონაცვლეობით უნდა გადაეცეს ტოლფასი ღირებულების მიწის ნაკვეთი ან მიეცეს საბაზრო ფასის შესაბამისი კომპენსაცია;

IV.) მიზანშეწონილია განმის აღმომჩენი და დაკარგული ნივთის მპოვნელი უფლებამოსილებით გაუთანაბრდნენ ერთმანეთს, რისთვისაც ან საქართველოს სკ-ის 192-ე მუხლის დისპოზიცია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მესაკუთრის ნივთში თუ აღმომჩენილია საგანი, რომელიც ისე დიდხანს იყო დაფლული, რომ შეუძლებელია მისი თავდაპირველი მესაკუთრის დადგენა (განძი), მაშინ ნაპოვნ განძზე საკუთრება გადადის იმ ნივთის მესაკუთრეზე, რომელშიც განძი აღმოჩნდა. მპოვნელს/აღმომჩენს აქვს უფლება მესაკუთრეს მოსთხოვოს ჯილდო (საპოვნელი), ამავე კოდექსის 191.3-ე მუხლით განსაზღვრული ოდენობით.“

ან/და საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებული იქნას 192-ე მუხლი, განმთან დაკავშირებით დებულებები შეტანილი იქნეს სკ-ის 191-ე მუხლში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაკარგული ნივთისა და განძის, ანუ ისეთი ნივთის, რომელიც ისე დიდხანს იყო დაფლული, რომ შეუძლებელია მისი თავდაპირველი მესაკუთრის დადგენა, მპოვნელმა/აღმომჩენმა დაუყონებლივ უნდა განუცხადოს ამის შესახებ ნივთის დამკარგავს, ან იმ საგნის მესაკუთრეს, რომლის საგანშიც განძი აღმოჩნდა, სხვა უფლებამოსილ პირს, ან თუ მათი ვინაობა უცნობია,-პოლიციას ან სხვა ადგილობრივ ორგანოს და გადასცეს ნაპოვნი/აღმომჩენილი ნივთი/განძი.

2. განცხადების გაკეთებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ მპოვნელი იძენს საკუთრებას ნაპოვარზე/ განძზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა

მისთვის ცნობილი იყო მესაკუთრე, ან მესაკუთრის უფლება ნივთზე პოლიციაში უკვე გამოცხადებული იყო. საკუთრების უფლების მოპოვებასთან ერთად ქარწყლდება ყველა სახვა უფლება ამ ნივთზე/განძზე.

3. თუ უფლებამოსილი პირი იბრუნებს ნივთს, მპოვნელს/აღმომჩენს შეუძლია მოსთხოვოს მას ჯილდო (საპოვნელი), ნივთის/განძის ღირებულების ხუთ პროცენტამდე. გარდა ამისა დაკარგული ნივთის მპოვნელს და განძის აღმომჩენს შეუძლია მოსთხოვოს უფლებამოსილ პირს ან სათანადო ორგანოს ნივთის/განძის შენახვის ხარჯების ანაზღაურება.“;

V.) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლში შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი და კერძო პირის დარღვეული თუ სადაოდ ქცეული ქონებრივი უფლების შესახებ დავას სასამართლო განიხილავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

VI.) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსიდან მიზანშეწონილია ამოღებული იქნეს მე-2 მუხლის მე-5 ნაწილი.

იმის გამო, რომ აღნიშნული დანაწესით აკრძალულია, სასამართლომ წარმოებაში მიიღოს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ სარჩელი თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

ამ ცვლილების განხორციელება მიზანშეწონილია, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლთან წინააღმდეგობაში მყოფად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილი. ასევე, საკუთრივ უფლების სასამართლოს წესით განხორციელებას გაუმართლებელ წინაპირობებზე ხდის დამოკიდებულს. ამ წინააღმდეგობების სავალდებულოდ დაცვა არ შეიძლება აიხსნას რაიმე რაციონალური მოსაზრებებით. მითუმეტეს, იმ პირობებში, როდესაც შესაძლოა გარდაუვალი იყოს უზრუნველყოფის რიგი ღონისძიებების გამოყენება, რასაც დაინტერესებული პირი მოკლებულია სასამართლოს გარეშე. ამდენად, მიზანშეწონილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსიდან ამოღებული იქნეს მე-2 მუხლის მე-5 ნაწილი;

VII.) მიზანშეწონილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსიდან ამოღებული იქნეს 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც უფლებამოსილებას აძლევს სასამართლოს, სადაო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი.

ამ ცვლილების განხორციელება მიზანშეწონილია. მითუმეტეს, მაშინ, როცა დასახელებული ნორმის საფუძველზე სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ადმინისტრაციული ორგანოების თვითნებობის დაძლევა სასამართლოს თავადაც შეუძლია დასახელებული ნორმის დანაწესის მიუხედავად. ერთადერთი გამართლება შესაძლებელია ამ ნორმას ჰქონოდა, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოების ეფექტიანი მუშაობის, მეორე მხრივ, კი საერთო სასამართლოებში საქმის განხილვის შემცირებული ვადების არსებობისას, რაც გამორიცხავდა უფლების გაჭიანურებას;

VIII.) უმრავ ნივთებზე საკუთრების უფლების განხორციელების პრობლემის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი, „საჯარო რეესტრის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის წინააღმდეგობრივი დანაწესია, რომლითაც საჯარო რეესტრი უფლებამოსილია და არა ვალდებული, კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

შესაბამისად, „საჯარო რეესტრის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მარეგისტრირებული ორგანო ვალდებულია კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.“;

IX.) საკუთრების უფლების მომწესრიგებელ / მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში არსებული ხარვეზების დადგენა-აღმოფხვრისის მიზნით შეიქმნას ხარვეზების დამდგენი კომისია;

X.) შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის თეორია დამკვიდრდეს და შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო სამართლებრივი აქტით მოწესრიგდეს.

სასამართლო და საკანონმდებლო საქმიანობაში მიზანშეწონილია აქტიურად გამოიყენებოდეს შეზღუდული სახელმწიფო იმუნიტეტის თეორია. მათ შორის, აღნიშნულის შესრულება აუცილებელია საერთაშორისო დონეზეც.

ამ მხრივ, მიზანშეწონილია ქართული სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ინიცირებული იქნეს ამგვარი აქტის შემუშავებისა და მიღების საკითხი. მით უფრო, როცა ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში, მაგ. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლში, არსებობს იმპერატიული დათქმა იმის შესახებ, რომ უძრავი ქონება, მათ შორის უცხოელთა ხელში არსებული, ექვემდებარება საფრანგეთის კანონმდებლობას;

XI.) მიზანშეწონილია ცვლილება შევიდეს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 მაისის N1044 განკარგულებაში და ამ განკარგულების მე-3 პუნქტი ძალადაკარგულად გამოცხადდეს.

აღნიშნული განკარგულება ეწინააღმდეგება, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის N1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მოთხოვნებს, რადგან N1044 განკარგულება აღიარებს, რომ დაბრუნებული ნივთები, სახელმწიფოს სასარგებლოდ მესაკუთრეებმა იძულებით დათმეს, მაგრამ იმავდროულად მათ დასაბრუნებლად მესაკუთრეებს აკისრებს, თუმცა სიმბოლური თანხის, მაგრამ მაინც სასყიდლის გადახდას.

ამასთან, დაბრუნებას არ ექვემდებარება იძულებით წართმეული არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები, რითაც იმ ქონების მესაკუთრეები, რომლებსაც არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები დაათმობინეს სახელმწიფოს სასარგებლოდ, დატოვებულნი არიან დაცვის გარეშე. ყოველივე ზემოთქმულისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აშკარად დისკრიმინაციულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 მაისის #1044 განკარგულება, ჩვენი რეკომენდაციაა ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 მაისის N1044 განკარგულების მე-3 პუნქტი;

XII.) მიზანშეწონილია სპეციალური კანონის შემოღება, სასამართლოში საქმის განხილვისა და სასამართლო აქტების აღსრულების გონივრული ვადების დარღვევისათვის კომპენსაციის გადახდის წესისა და პირობების შესახებ.

აღნიშნული საკანონმდებლო აქტით, უფლების განხორციელება ეფექტიანი გახდება. საქმის განხილვის, ასევე აღსრულების ვადების დაცვაზე, სასამართლოსა და აღმასრულებელთა (როგორც სახელმწიფოს განმასახიერებელ სუბიექტთა) პასუხისმგებლობის ამაღლების (გაზრდის)

და მაშასადამე, საკუთრების უფლების დაცვის გარანტიების განმტკიცების მიზნით, დასაჩქარებელია სპეციალური კანონის შემოღება. სასამართლოში საქმის განხილვისა და სასამართლო აქტების აღსრულების გონივრული ვადების დარღვევისათვის კომპენსაციის გადახდის წესისა და პირობების შესახებ შემოღებით, უძრავ ნივთებსა და ცალკეულ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე საკუთრების უფლების განხორციელება ეფექტიანი გახდება.

ბიბლიოგრაფია

1. გახოკიძე ჯ. გაბისონია ი. მამნიანშვილი მ. მონიავა პ(თ). საგამოძიებო სამართალი. წიგნი პირველი. თბილისი. გამომცემლობა „იურისტების სამყარო.“ 2018 წ.;
2. ვახტანგ მე-VI სამართლის წიგნთა კრებული (სამართალი ვახტანგ მეფისა) https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/409460/1/Samartali_Vaxtang_Meeqvsisa_1981.pdf (2026 წლის 22 მარტის მდგომარეობით);
3. ზოიძე, ბ., სანივთო სამართალი. თბილისი. 1999 წ.;
4. ზოიძე, ბ., ქართული სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2003.;
5. კნიპერი რ. „საკუთრების სუბიექტების, ობიექტებისა და საკუთრების უფლების გადატანის მიება კოდიფიკაციის დონეზე“, სტატიათა კრებული: „საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა: საკუთრების ცნების ტრანსფორმაცია“, 2015 წ.;
6. ლოკი, ჯ., მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მართველობაზე (Second Treatise of Government, 1689) - <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/jon-loki.pdf>;
7. მონიავა პ(თ). შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში. თბილისი. 2013 წ.;
8. Savigny, F. K., System des heutigen römischen Rechts, Erster band, 1840, - <https://archive.org/details/systemdesheutige01saviuoft/page/380/mode/2up>;
9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი, 2002 წ.;
10. ცვაიგერტი, კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. ტომი 1.;
11. შტაინბახი უ., (რედ.) ევროპა და ხმელთაშუა ზღვა: საუბარი, სწავლა, მუშაობა და ერთად ცხოვრება, ტომი 7; მემკვიდრეობა და საზოგადოება ევრო-ხმელთაშუა ზღვის საზოგადოებაში; საკონფერენციო ნაშრომები, ნაწილი 2, ბერლინი, 2019 წ. - https://www.ssoar.info/ssoar/bitstream/handle/document/60984/ssoar-2019-steinbach-Europe and the Mediterranean Talking.pdf?isAllowed=y&sequence=3&utm_source=chatgpt.com
12. შვაბე, ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011 წ. - <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/203341/1/GermaniisFederaluriSakons titucioSasamartlosgadacyvetilebebi.pdf>;

13. ჭანტურია, ლ., უძრავი ნივთების საკუთრება (გერმანული სამართლის მაგალითზე). თბ. 1994წ.;
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 28 დეკემბრის განჩინება #ბს-942 (კ-20) საქმეზე.
15. სპორინგი და ლონროთი შვედეთის წინააღმდეგ საქმე (Sporrong and Lönnroth v. Sweden, 1982) - <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%22001-57580%22%7D>;
16. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე “ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ“ (CASE OF LOIZIDOU v. TURKEY) – <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%22001-58007%22%7D> (2026 წლის 31 მაისის მდგომარეობით);
17. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება (N2/1/370, 382, 390, 402, 405) - II-8 - <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=392>;
18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის #3/1/512 გადაწყვეტილება (<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=484>);
19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება #1/2/384 გადაწყვეტილება - <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=291>;
20. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს 1975 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმეზე „გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ - <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%22001-57496%22%7D> (2026 წლის 3 ივნისის მდგომარეობით);
21. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს 1979 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე „აირი ირლანდიის წინააღმდეგ“ (CASE OF AIREY v. IRELAND) - <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%22001-57420%22%7D> (2026 წლის 3 ივნისის მდგომარეობით);
22. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს 1982 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე “პირსაკი ბელგიის წინააღმდეგ” (CASE OF PIERSACK v. BELGIUM) - <https://hudoc.echr.coe.int/fre#%7B%22itemid%22%3A%22001-57557%22%7D> (2026 წლის 3 ივნისის მდგომარეობით);

23. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს 1994 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე „ჰირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ“ (CASE OF HIRO BALANI v. SPAIN) - <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%5B%22001-57910%22%5D%7D> (2026 წლის 3 ივნისის მდგომარეობით);
24. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს 2000 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე „კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ“ (CASE OF KUDŁA v. POLAND) - <https://hudoc.echr.coe.int/fre#%7B%22itemid%22%3A%5B%22001-58920%22%5D%7D> (2026 წლის 3 ივნისის მდგომარეობით);
25. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ“ - <https://hudoc.echr.coe.int/fre#%7B%22itemid%22%3A%5B%22001-60449%22%5D%7D> (2026 წლის 29 მაისის მდგომარეობით);
26. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ“ - <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%5B%22001-58020%22%5D%7D> (2026 წლის 29 მაისის მდგომარეობით);
27. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის N181 ბრძანება - <https://matsne.gov.ge/document/view/1040547?publication=0>;
28. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2026 წლის 28 თებერვალის N 1186 ბრძანება - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6789636?publication=0>;

The author's style protected



Davit Agmashenebeli University of Georgia

Problems of Exercising Ownership Rights over Immovable Property and Intangible Property Assets in Georgia

PhD student **Giorgi Baramidze**

Autoabstract

Scientific Supervisor: Polikarpe (Temur) Moniava
Doctor of Law, Professor

Tbilisi
2026

Contents

Introduction	52
Chapter 1. The Concept of Property, Its Social Nature, and the Content of the Right of Ownership	68
§1. The Concept and Essence of Property	68
§2. The Content of the Right of Ownership	68
§3. The Social Nature of Property	68
Chapter 2. Immovable Property and Certain Intangible Property Assets as Objects of the Right of Ownership	69
§1. Property as an Object of Private-Law Commerce	69
§2. Immovable Property as an Object of the Right of Ownership	69
§3. Intangible Property Assets as Objects of the Right of Ownership	69
Chapter 3. International Mechanisms for the Exercise of Property Rights as a Universally Recognized Right and the Practice of the European Court of Human Rights	70
§1. Reasons for the Long-Term Absence of International Legal Instruments Concerning Property as a Universally Recognized Right	70
§2. Mechanisms for the Exercise of Property Rights in International Legal Instruments	70
§3. Practice Established by the Case Law of the European Court of Human Rights Regarding the Protection of Property	70
§4. Violation of the Right to a Fair Trial as a Particular Instance of Violation of the Right of Property	70

Chapter 4. Mechanisms for the Exercise of Property Rights in Georgia Following the Restoration of Independence and the Problem of the Effectiveness of Adopted Legal Acts	71
§1. Legal Mechanisms for the Exercise of Property Rights in Georgia Following the Restoration of Independence	71
§2. The Problem of the Effectiveness of Mechanisms for the Exercise of Property Rights in Georgia Following the Restoration of Independence	71
Chapter 5. Conclusions and Proposals / Recommendations	72
§1. Conclusions	72
§2. Proposals / Recommendations	81
Bibliography	86

Introduction

a) Relevance and novelty of the topic:

Property has played an important role in the life of society since ancient times, because throughout the entire past period, a person associated property with both his or her own and the family's economic well-being, and sought to protect it both within the country and beyond its borders.

Property, at first glance, encompasses the owner's right to property, which Article 147 of the Civil Code of Georgia classifies as all things and such types of intangible property benefits that can be possessed, used, and disposed of by natural and legal persons, and which may be acquired without restriction, provided that this is not prohibited by law or contrary to moral norms.

However, the reality is different. Unlike a number of countries, Article 170(1) of the Civil Code of Georgia emphasizes that within the framework of statutory or other, in particular contractual, limitations, the owner may freely possess and use only such property that falls under the category of "things".

Accordingly, the possibility for a person to freely possess and use property, to prevent its use by other persons, and to dispose of it, provided that this does not infringe the rights of [neighbours](#) or other third parties, or does not constitute an abuse of rights, applies—based on the purpose of Article 170(1) of the Civil Code of Georgia—only to immovable and movable things.

With regard to things, Article 149 of the Civil Code of Georgia provides only a list of immovable property. Specifically, immovable things include a land plot with its mineral resources, plants growing on the land, as well as buildings and structures firmly attached to the land. Accordingly, it is assumed that all things that do not fall under the category of immovable property are considered movable things.

Regarding intangible property benefits, according to Article 152 of the Civil Code of Georgia, these include claims and rights that may be transferred to other persons or are intended to provide their holder with material benefit, or to grant the right to demand something from other persons.

It should also be noted that, although Article 7 of the Civil Code classifies intangible property benefits as objects of private-law relations, their level and standard of protection are undoubtedly lower than that of things. In particular, this is evidenced by the fact that, according to Article 158(1) of the Civil Code of Georgia, the presumption of ownership applies only to things. This means that, except in [the](#) cases where the nature of ownership is confirmed by the Public Registry, the possessor of a thing is its owner. Accordingly, in light of all the above, it would appear that the protection of ownership rights over

